# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 12 ივლისი 2004 №158 (2179) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



## დრო ისეთი, რუსეთი გველის

როცა საქართველოს ეროვნული ნაკრები კონტინენტის უსუსტეს გუნდებში ტრიალებს და რა ხანია, აღმასვლას ლამობს, ჭაბუკები უკვე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე არიან და გუშინ პირველი გამარჯვებაც იზეიმეს. ქართველები რომ ლატვიელებს ეთამაშებოდნენ, მათი ორი თანაგუნდელი სარაგოსას საავადმყოფოში იწვა, კიდევ ორი კი სიცხიანი იჯდა სათადარიგოებში და მოედანზე არ გასულა. ქართველებმა 5 კაცით ითამაშეს და პირველ ტურში რუსთა მძლეველი ლატვიელების 77:75 დამარცხებით მეოთხედფინალში გასვლის შანსი მოიპოვეს. ხვალ ჩვენები სწორედ რუსებს ეომებიან და თუ იმარჯვებენ, ცალ ფეხს მეოთხედფინალში ჩადგამენ.

ამ დროს კი კადეტებმაც გამოიღეს ხელი. საბერძნეთში, ევროჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ქართველები ჯგუფიდან ვერ გავიდნენ და ახლა A კატეგორიის გუნდებში დასარჩენად იბრძვიან. შაბათს ნიკო ჩერქეზიშვილის გუნდი ხორვატებთან დამარცხდა, გუშინ კი ჩვენებმა დრამატულ, ოვერტაიმიან მატჩში გერმანელებს აჯობეს.

## პერეზი

### რეალისტები ირჩევენ დაპირებებს

*რაღა საქართველოს და რაღა „რეალის“ საპრეზიდენტო არჩევნები, ინტრიგა არც ერთს აკლდა და არც მეორეს.*

*გუშინ მადრიდში „რეალის“ პრეზიდენტს ირჩევდნენ, ბრძოლა ფლორენტინო პერესსა და ლორენსო სანსს შორის უნდა გამართულიყო. ბრძოლა, რასაც ამ სიტყვაში ვგულისხმობთ, არ შედგა და არც იქაური ცეესკოს ოფიციალური შედეგები აინტერესებს ვინმეს, რაკილა გაზეთ „მარკას“ ჩატარებულმა ეგზიტპოლმა აჩვენა, რომ ფლორენტინო პერესს ისეთი მხარდაჭერა ჰქონდა, როგორიც 4 იანვრის არჩევნებში საქართველოს ახლანდელ პრეზიდენტს. ეგზიტპოლი კი არ ტყუის.*

*ფლორენტინო პერესმა წუხელვე იზეიმა გამარჯვება, ლორენსო სანსმა კი, რა თქმა უნდა, თქვა, რომ არჩევნები დარღვევებით ჩატარდა და ეს განცხადება ჩვენ ვერ გაგვაკვირვებს.*

*პერესი კი კვლავაც გაიძახის, რომ მომდევნო ოთხ წელიწადშიც იყიდის და იყიდის დიდვარსკვლავებს.*

| | |
|---|---|
| ფლორენტინო პერესი | 21 377 (91,3%) |
| ლორენსო სანსი | 1 189 (5,08%) |
| არტურო ბალდასანო | 458 (1,96%) |



## შეყილაძე ფეხბურთიდან

### კარდიოგრამით მიდის

## კოპები კოპაზე

### ბრაზილია 4:1 კოსტა რიკა

### გუშინ ადრიანო რონალდო იყო

# მზადება ბატესთვის
## მე და დინამო ერთად ვიზრდებით

ბადრი ჯეთელაძის ფოტო

*თბილისის „დინამო“ გერმანული შეკრებიდან შინ დაბრუნდა და მალე ბელარუსში, ბორისოვოში ელის მეტად რთული გამოცდა — 15 ივლისს უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩში ბატეს ესტუმრება.*

*„დინამო“ თითქმის ახალი გუნდია — წინა სეზონის მეორე ეტაპისთვის და მერეც „დინამოდან“ რამდენიმე ფეხბურთელი წავიდა და მოვიდა, გუნდს ივო შუშაკის ნაცვლად გია გეგუჩაძე ჩაუდგა სათავეში და „დინამო“ სხვანაირად, ახლებურად ათამაშდა. როგორი იქნება გეგუჩაძის „დინამო“? ეს მალე უფრო კარგად გამოჩნდება, მანამდე კი გეგუჩაძე „სარბიელის“ კითხვებს პასუხობს...*

— სეზონისწინა შეკრება ნაყოფიერი, სასარგებლო გამოდგა. გუნდს ძალიან წაადგა ტურნირებში მონაწილეობა შვეიცარიასა და ავსტრიაში. შეკრებაზე აქცენტი აბსოლუტურად ყველა კომპონენტზე გავაკეთეთ, მათ შორის ფეხბურთელთა ხასიათის შეცნობაზეც — ეს ყველაზე უფრო კარგად შეკრებაზეა შესაძლებელი. შეკრებაზე ხდება დამეგობრება ფეხბურთელებს შორის და, რა თქმა უნდა, წმინდა საფეხბურთო ფაქტორებსაც დიდ ყურადღებას ვუთმობდით — ჩვენ ახალ გუნდს ვქმნით, რაც ძალიან შრომატევადი საქმეა.

**— სასიამოვნო გაკვირვება — ამ შეკრებაზე ასეთი არაფერი იყო „დინამოს“ მთავარი მწვრთნელისთვის?**

— იმედგაცრუება არ ყოფილა, ახალწვეულებმაც თავი საკმაოდ ნომარლურად წარმოაჩინეს.

**— შეკრებაზე საკმაოდ ბევრ დროს ხარჯავდით მგზავრობაში — მიდიოდით შვეიცარიაში, მერე უკან, რუიტში ბრუნდებოდით, შემდეგ ავსტრია, ისევე რუიტი...**

— სასურველი იყო, მეტოქეები აქეთ მოსულიყვნენ ჩვენთან სათამაშოდ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ჩვენ ძლიერ გუნდებთან გვინდოდა სპარინგი, თორემ გერმანიაში რეგიონალლიგის რამდენიმე გუნდს სურდა ჩვენთან თამაში.

**— ძლიერ მეტოქეებთან თამაშმა რა დაგანახათ?**

— ჩვენი უამრავი ნაკლი, მაგრამ ეს თან სდევს გუნდის ჩამოყალიბების პროცესს. ასეთ დროს წაგებებიცაა და გამარჯვებებიც. ჰოდა, არ უნდა შევქმნათ ტრაგედია „ზალცბურგთან“ მარცხით და არც ცაში უნდა დავფრინავდეთ, თუ „ბაზელს“ და „ბრონდბიუს“ მოვუგეთ. საერთო ჯამში, ასეთ გუნდებთან თამაში „დინამოსთვის“ წინგადადგმული ნაბიჯი გახლდათ. თვენახევარში გუნდი არ ყალიბდება, ჩვენ ხომ შეკრება 7 ივნისს დავიწყეთ.

**— თქვენი საყვარელი სქემის, 3-4-3-ის ერთგული კვლავაც იქნებით?**

— შეკრებაზე 4-4-2 და 4-3-3 სქემებითაც ვითამაშეთ. პირველ რიგში ფეხბურთელთა ტაქტიკურ განათლებას ვანიჭებ უპირატესობას, იმას, თუ სხვადასხვა პოზიციაზე რა უნდა აკეთოს ფეხბურთელმა.

**— შეკრების ბოლო მატჩში „ბრონდბიუსთან“ არ უთამაშიათ დავით კვირკველიას და სანდრო იაშვილს...**

— კვირკველია ტრავმირებულია, გვერდი აქვს დაჟეჟილი, იაშვილი კი დავასვენეთ.

**— ლადო ბურდულზე რას იტყვით — უკვე არის ოპტიმალურ ფორმაში?**

— ვარჯიშებზე და მატჩებში ბურდულის გარჯით კმაყოფილი ვარ, ის ნელ-ნელა აღიდგენს სათამაშო კონდიციებს.

**— შეკრებაზე ბურდული ნახევარდაცვის ცენტრშიც თამაშობდა — მიგაჩნიათ, რომ ის ტიპიური ფლანგელი არ არის?**

— მიმაჩნია, რომ ბურდულს მარჯვენა ფლანგზეც შეუძლია წარმატებით თამაში და ცენტრშიც.

**— „დინამოს“ სეზონი 15 ივლისს ეწყება ბატესთან მატჩით, ხოლო ბელარუსში ეროვნული ჩემპიონატის უკვე ცამეტი ტურია ნათამაშევი — ეს ფაქტორი მეტოქეს მნიშვნელოვან უპირატესობს აძლევს?**

— ვფიქრობ, ბატეს ამ მხრივ უპირატესობა არ აქვს, მაგრამ ბელარუსის ჩემპიონატი რომ გახურებულია, ეს მისთვის უკეთესია.

**— ბატეს თამაში ფირზე არ გინახავთ?**

— სამწუხაროდ ფირი ჯერ არ გვაქვს, ველოდებით.

**— „დინამომ“ სამი წლის წინ ბატესთან წააგო — როგორ შეადარებდით ახლანდელ „დინამოს“ მაშინდელ „დინამოსთან“?**

— მე მხოლოდ იმ პროცესებს ვხედავ, რაც ახლა მიმდინარეობს „დინამოში“.

**— როგორ ფიქრობთ, მოთამაშეთა შერჩევით ეს „დინამო“ უკეთესია?**

— ახლანდელი „დინამო“ ჩემთვის სასურველი ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ისე რომ ვფიქრობდე, სხვა მოთამაშეები ამათზე უფრო ძლიერები არიან-მეთქი, მაშინ რა აზრი ექნება ამ ფეხბურთელების „დინამოში“ ყოფნას?!

**— ამ „დინამოში“ რამდენიმე გამოუცდელი ფეხბურთელია, უეფას თასზე თამაში კი სულ სხვაა, ვიდრე საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩები...**

— ევროტურნირებზე ფსიქოლოგიური დატვირთვა მართლაც მეტია, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთი აყენებს ასეთ პირობას — აგრესიულ და სწრაფ თამაშს ალღო უნდა აუღო. სწორედ იმიტომ ვეთამაშეთ შეკრებაზე ძლიერ გუნდებს, რომ ჩვენს ფეხბურთელებს გამოცდილება შეეძინათ. მანამდე, სამი წლის განმავლობაში „დინამომ“ შეკრებებზე სულ ოთხ ასეთ ძლიერ გუნდთან ითამაშა, ჩვენ კი ეს ერთ შეკრებაზე მოვახერხეთ.

**— გია გეგუჩაძე არის იმისთვის მზად, რომ უფრო მეტი ფსიქოლოგიური დატვირთვის ფონზე თავი გაართვას საქმეს?**

— ვფიქრობ, ამ გუნდთან ერთად მისი მწვრთნელიც იზრდება.

**დავით თავართქილაძე**

„დინამო“: ბატემდე შვეიცარიული ტურნირიც იყო

ჩემი წასვლის დრო დადგა. უბედნიერესი ჯაცი ვარ, რადგან მთელი ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთით ვცხოვრობდი. ოცნება ამიხდა და ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებდი, მაგრამ უკვე ვგრძნობდი, რომ ეს ძველებურად აღარ გამომდიოდა. „არსენალს“ წარმატებებს ვუსურვებ და დიდ მადლობას ვუხდი თანადგომისთვის

## კარდიოგრამა

# ბურთმა გული დაღალა

*გელა შეყილაძე — ქართული საფეხბურთო სამყაროსთვის ეს შინაური სახელია. 33 წლის ბათუმელი, კარგი ფეხბურთელი და უბრალო, კარგი ადამიანია.*

*ოთხი დღის წინ შეყილაძემ ფეხბურთელის კარიერა დაამთავრა. დაამთავრა მოულოდნელად, ახალი სეზონისთვის მზადებადაწყებულმა სამედიცინო შემოწმება გაიარა, ექიმები კარდიოგრამის შედეგებმა დააეჭვა, ხელმეორე გამოკვლევის შემდეგ კი გელას ფეხბურთისთვის თავის დანებება ურჩიეს.*

*შეყილაძემაც გადაწყვიტა — თამაშის გაგრძელებას და ჯანმრთელობის გაუარესებას, რა თქმა უნდა, ოჯახი და ფეხბურთთან დაშორება არჩია*

— საბოლოო გადაწყვეტილება ოთხი დღის წინ მივიღე და უფეხბურთოდ ჩემი ცხოვრება როგორი იქნება, ჯერ ვერ წარმომიდგენია. კიევის „არსენალმა“ გაცილება მომიწყო, სამი წუთი ამხანაგურ მატჩშიც ვითამაშე, მერე კლუბმა ჩემს პატივსაცემად დიდი ბანკეტი მოაწყო და ასე დამეშვიდობა. ბათუმში გუშინ ჩამოვედი, ახლა ოჯახთან ერთად ვარ, შვილებთან ერთად ზღვაზე დავდივარ, მერე კი ვნახოთ...

**— ფეხბურთში არ დარჩები?**

— ახლა ვერაფერს გეტყვით. სექტემბერში ბელგიაში წავალ, გამოკვლევებს ჩავიტარებ და რასაც ექიმები მეტყვიან, ცხოვრებასაც იმის შესაბამისად გავაგრძელებ. ისე კი, კიევის „არსენალმა“ დარჩენა და მწვრთნელობა შემომთავაზა, მაგრამ საბოლოო დიაგნოზამდე პასუხისგან თავი შევიკავე.

**— გული აღრეც გაწუხებდა?**

— არა, აქამდე კაჟივით ვიყავი. ბოლო სამედიცინო შემოწმება ზამთარში გავიარეთ, არაფერი მიჭირდა. შეკრებიდან კიევში დავბრუნდით, რამდენჯერმე უკრაინის ჩემპიონატშიც ვითამაშე, მერე დავშავდი და ფეხს ვმკურნალოდი. ახლა კი, როცა ახალი სეზონისთვის მზადებას ვიწყებდით, „არსენალთან“ კონტრაქტი გავაგრძელე, ერთი კვირა ვივარჯიშე და სამედიცინო შემოწმების დროც დადგა. შედეგი ჩემთვის სამწუხარო აღმოჩნდა. არც ახლა მაწუხებს არაფერი, მაგრამ რა ვიცი, კარდიოგრამა ექიმების საქმეა, მათ რაღაც დაინახეს.

**— არ უთქვამთ, რა დაინახეს?**

— ზუსტი დიაგნოზი არ ვიცი. კიევში და თბილისში მკურნალობას, გამოკვლევებს ბელგიაში წასვლა ვამჯობინე და იქ ალბათ ყველაფერს დაწვრილებით მეტყვიან. სექტემბერში ისიც მეცოდინება, მომავალში რა საქმით დავკავდები. დღესდღეობით კი ასეა, უფეხბურთოდ დავრჩი.

**კოგა ინასარიძე**

### შვედეთი
ალსვენსკა. XI ტური
ელფსბორგი 1:0 აიკ
გიოტეგორგი 2:0 ტრელეგორგი
ჰალმსტადი 2:2 იორგრიტე

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. XIII ტური
კტპ 1:1 ჯაზი
ტპ-47 2:0 ჰაამეენლინა
ტურკუ 1:0 მიუპა

### ისლანდია
პრემიერლიგა. X ტური
ჰაფნარფიორდური 2:2 აკურეირი

### ამხანაგური მატჩები
სენტ გალენი 1:2 შტუტგარტი
ციურიხი 0:2 კიოლნი
კოპენჰაგენი 0:1 ჰამბურგი

# რუსთავს ნული აკლია

ლაშა მინდელი

## ეს ნული 270 ათასია



ვარლამ კილასონია

*ისევ გაურკვეველი ვითარებაა „რუსთავში". ჩემპიონატი 24 ივლისს იწყება და ორი კვირით ადრე რუსთავში კაცი არაა, არავის შეუძლია ზუსტად თქმა, გუნდი უმაღლესი ლიგის წლეულს მოპოვებულ საგზურს დანიშნულებისამებრ გამოიყენებს თუ ვერა.*

*„რუსთავი" უმაღლესლიგელებისადმი პროფლიგის მოთხოვნას — ანგარიშზე 300 ათასი ლარის ქონას ჯერაც ვერ აკმაყოფილებს. მეტიც, კლუბის მესვეურების თქმით, გამორიცხულია, „რუსთავმა" ეს თანხა ჩემპიონობის დაწყებამდე მაინც იშოვოს. გაჭირვებულს ქვა აღმართში მიეწიაო და, მაშინ, როცა ქალაქის მსხვილწვრილ საწარმოებს „რუსთავის" ანგარიშის ნაწილობრივ შევსება მაინც უნდა დაეწყოთ, საგადასახადო სამსახურმა საბუიჯეტო დავალიანების გამო კლუბის ანგარიში დააყადაღა. საქმეში ქალაქის ხელმძღვანელობა კი ჩაერია და „რუსთავს" ყადაღა აეხსნა, მაგრამ...*

— კლუბის ანგარიშზე ჯერ კაპიკიც არ ჩარიცხულა — გვითხრა რუსთაველმა პარლამენტარმა და კლუბის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ლაშა მინდელმა — საქმე ისაა, რომ წინა კვირაში ქალაქის მერი, პარლამენტარი გოჩა ხევიაშვილი და მე რუსთაველ ბიზნესმენებს, ქალაქის საწარმოთა ხელმძღვანელებს შევხვდით და კლუბის პრობლემებზე ვესაუბრეთ. დახმარება, ფულის შეკრება და „რუსთავის" სალაროს შევსება ვთხოვეთ. ზოგიერთს ახალი კლუბის დაფუძნებაც კი შევთავაზეთ. უარი არავის უთქვამს, რამდენიმემ თავისი კეთილი ნება და კლუბის დახმარების სურვილი შეხვედრისასვე დაადასტურა. მათ კლუბის რეკვიზიტები მივეცით და ახლა ფულის ჩარიცხვას ყოველდღე ველით.

**— ანგარიშის შევსებას აქამდეც ელოდით, მაგრამ თქვენი სალარო ისევ ცარიელი ყოფილა...**

— ერთი პრობლემა შეგვექმნა და ქალაქის ხელმძღვანელთა დახმარებით საქმე მოგვარდა. აღმოჩნდა, რომ „რუსთავს" ბიუჯეტის დავალიანება ჰქონდა და საგადასახადომ ანგარიში დააყადაღა. ფულის ჩარიცხვაც აქამდე ამიტომ ვერ მოხერხდა. ორშაბათიდან, იმედი გვაქვს, საწარმოები ფულს გადმორიცხავენ.

**— კი მაგრამ, რამდენი უნდა გადმორიცხონ? უმაღლეს ლიგაში თამაშისთვის აუცილებელი 300 ათასი ლარი შეგროვდება?**

— ამდენი არ შეგროვდება, მაგრამ საწარმოთა დახმარებით თვიდან-თვემდე კი მივატანთ. შესაძლოა, 300 ათასი ახლა არ გვქონდეს, მაგრამ იანვრიდან ჩვენი ფინანსური მდგომარეობა უკეთესი იქნება.

**— ჩემპიონატი ხომ ორ კვირაში იწყება. ფიქრობთ, რომ პროფლიგა იანვრამდე გადროვებთ?**

— სხვათა შორის, ჩემი სათქმელი უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ 300 ათასის გარანტიის წარდგენის თაობაზე პროფლიგის კონფერენციაზე ვთქვი. მიმაჩნია, რომ სათამაშოდ 300 ათასის გარანტია აუცილებელი არაა. „რუსთავი", პირადად ლაშა მინდელი, იმის გარანტიას იძლევა, რომ გუნდი ჩემპიონატს შუა გზაზე არ მიატოვებს, სტუმრად მატჩებზე გამგზავრების პრობლემა არ გვექნება. „რუსთავი" ბევრჯერ ყოფილა ასეთი გაჭირვებული, მაგრამ ჩემპიონატი არასდროს მიუტოვებია. რატომღაც მგონია, რომ ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა 300-ათასიანი გარანტიის გადაწყვეტილებას შეცვლიან.

**— რომ არ შეცვალონ?**

— რომ არ შეცვალონ, მაშინ რუსთავის მერიას შეუძლია ამ თანხის გარანტიის მიცემა, მაგრამ ეს ფორმალობა იქნება.

**— თანხა კლუბის ანგარიშზე უნდა იყოს. თუ 300 ათასი ვერ შეაგროვეთ, თუ პროფლიგამ გადაწყვეტილება არ შეცვალა, მაშინ რას გააკეთებთ?**

— ვერაფერს, რა უნდა გავაკეთოთ?! ჩემპიონატის დაწყებამდე „რუსთავს" ანგარიშზე 300 ათასი არანაირად არ ექნება.

**— მაშ, უმაღლესი ლიგის დატოვება მოგიწევთ?**

— ჩვენ ვიძლევით გარანტიას, რომ ჩემპიონატს არ მივატოვებთ და ჩვენს გამო პროფლიგასა და ფედერაციას პრობლემები არ ექნებათ.

**— დარწმუნებული ხართ, რომ თქვენს თხოვნას რუსთავის საწარმოები გაითვალისწინებენ და კლუბს ოდნავ მაინც შეეწევიან?**

— დიახ, დარწმუნებული ვარ. თუმც მათი დახმარებით 300 ათასს მაინც ვერ შევაგროვებთ. ეს საწარმოები გარკვეული თანხით ყოველთვიურად დაგვეხმარებიან. ამის გარდა კი ვეძებთ სპონსორებს. მათ ჩვენ „რუსთავში" მუშაობისთვის იდეალურ პირობებს შევუქმნით, ოღონდ მოსვლის სურვილი გამოთქვან. იანვრიდან, ალბათ, უფრო წელგამართულები ვიქნებით.

**— იანვარი რამდენჯერმე ახსენეთ. რას ელით?**

— სპონსორებს. ჯერ ზუსტად ვერ გიპასუხებთ, თუმც გეტყვით, რომ მოლაპარაკება ჰოლანდიელებთან გვაქვს, ისინი ჩვენი კლუბით დაინტერესებულნი არიან.

**— ადრეც ხომ გქონდათ ასეთი გეგმა?**

— დიახ, რუსთავში ყოველთვის არის სპონსორებზე ლაპარაკი, მაგრამ, ვერ გამიგია, ჩვენთან რატომ არავინ მოდის. ხმამაღლა ვამბობ, სპონსორს „რუსთავში" მუშაობისთვის იდეალური პირობები ექნება.

**— შეგიძლიათ გვითხრათ, რუსთავის საწარმოებს რამდენით დახმარება სთხოვეთ?**

— მსხვილ და საშუალო გაქანების საწარმოებს ორიდან ხუთი ათასს ლარამდე. შედარებით ნაკლებად შეძლებულთ კი ასიდან ხუთას ლარამდე. ამ სახის დახმარებას კლუბი ყოველთვიურად მიიღებს, ეს ერთჯერადი არ იქნება.

**— და დაახლოებით რამდენი შეგროვდება?**

— 30-40 ათას ლარს ველით. ეს თანხა კლუბის შესანახად საკმარისი იქნება. წინა სეზონში „რუსთავს" ქალაქის მერია კი აფინანსებდა, მაგრამ ეს პირველ ლიგაში იყო და ის ფული უმაღლესისთვის საკმარისი არ იქნება.

**— მოკლედ, კლუბის სალაროს შევსებას ორშაბათიდან ელით?**

— ანგარიშიდან ყადაღა მოხსნილია და ფულის ჩარიხცვა ორშაბათიდან დაიწყება.

**— 300 ათასი კი ისეც ვერ შეგროვდება...**

— ვერ შეგროვდება. უსპონსოროდ ეს გამორიცხულია.

**— სპონსორი არ ჩანს...**

— ჯერჯერობით არ ჩანს...

და ვიდრე „რუსთავს" სპონსორ-პატრონი გამოუჩნდება, იქამდე გუნდი, რომელსაც ადგილი უმაღლეს ლიგაში აქვს, ორი დღეა, „ფოლადზე" უმწვრთნელოდ ვარჯიშობს. „ფოლადზე" თურმე სრულიად უცნობი ფეხბურთელებიც ვარჯიშობენ. „რუსთავის" მწვრთნელი ვარლამ კილასონია გუნდს მოედნის კიდიდან უცქერს, ვარჯიშს კი მისი თანაშემწეები იასონ ალადაშვილი და ლევან გოგუაძე უძღვებიან.

**ძოგა ინასარიძე**

*„ლოკომოტივი" უზბეკეთიდან თბილისში დაბრუნდა. რკინიგზელებმა თავიანთი ბოლო მატჩი უზბეკეთის ნაკრებთან გამართეს და 0:2 დამარცხდნენ. უზბეკებმა ამ შეხვედრას სერიოზულად მიუდგნენ, რაზეც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მათ, ფაქტობრივად, ულიგესეს შემადგენლობას მოუყარეს თავი. მალე კი აზიის შესარჩევ ჯგუფში საკვალიფიკაციო მატჩს სწორედ ეს ნაკრები გამართავს*

# უზბეკეთი ნახე!

## ერთი ჯარგი, მეორე ჯარგი, მესამე ჯარგი

ფოტო: ფეხბურთელთა ფოლადი

*„ლოკომოტივმა" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ბათიაშვილი, რ. ონიანი, ბაქრაძე, ვაშაკიძე, გ. ონიანი, სანიკიძე, მანწკავა (დეკანოიძე 46), ლაცაბიძე, ქებაძე, გაგუა (სოსელია 62), სირბილაძე.*

თამაშს დიდი ინტერესი გამოუწვევია და გულშემატკივარიც მრავლად დასწრებია. მომენტები ორივე კართან შეიქმნა, თუმცა უკეთ მოთამაშე უზბეკეთის ნაკრების გამარჯვება სავსებით ლოგიკური იყო.

უზბეკური შეკრების შესახებ აზრის გაზიარება „ლოკომოტივის" მცველ *ირაკლი ვაშაკიძეს* ვთხოვეთ:

— უზბეკებმა ყველაფრით გამაკვირვეს. სამწუხაროა, ამას რომ ვამბობ, მაგრამ მათ ცხოვრების დონითაც გაგვასწრეს და ფეხბურთისადმი მიდგომითაც. ძალიან მომეწონა მათი ნაკრები. მართალია, მომენტები ჩვენც შევქმენით, მაგრამ საერთო ჯამში გვაჯობეს და კიდევ კარგი, 0:2-ზე მეტი არ წავაგეთ.

**— თავად შეკრებას როგორ შეაფასებდი?**

— ყველაფერი კარგად იყო ორგანიზებული და საკმაოდ სასარგებლო სპარინგმატჩებიც ჩავატარეთ. ბუნებრივია, ბოლოს შეკრების გამარჯვებით დასრულებაც გვსურდა, მაგრამ ამის თეორიული შანსიც არ იყო, იმდენად გამართული და თანამედროვე ფეხბურთი ითამაშა უზბეკეთის ნაკრებმა.

**— „ლოკომოტივში" შენი დარჩენის საკითხი ბოლომდე ჯერაც არ გარკვეულა, ახალი ხომ არაფერია?**

— ჯერჯერობით არაფერი. გამორიცხული არ არის, უკეთესი ვარიანტი გამოჩნდეს და კლუბი დავტოვო. მე, ბუნებრივია, წასვლა მირჩევნია. თანაც „ლოკომოტივს" „დინამოსთანაც" არ გაურკვევია ჩემი გამოსყიდვის საკითხი. მოკლედ, მალე ალბათ ყველაფერი გაირკვევა.

**დავით ერაძე**

# ამერი, შეკრება, ერთი-მეორე

მაშინ, როცა ზოგ უმაღლესი ლიგის გუნდს სეზონის წინ ერთი ხეირიანი შეკრება ენატრება, პირველლიგელმა „ამერმა" ერთი შეკრება მოილია და ახლა მეორესთვის ემზადება.

„ამერი" შაბათს დაბრუნდა ბაკურიანიდან, სადაც 12 დღე ემზადებოდა. დღეიდან გუნდი თბილისში გაგრძელებს წვრთნას, 24 ივლისს კი ორი კვირით ჩეხეთში, ქალაქ ბლშანში გაემგზავრება და რამდენიმე ამხანაგურ მატჩსაც ჩაატარებს.

ამ შეკრების ჩათავებიდან რვა დღეში „ამერი" ჩემპიონატის პირველ მატჩს გამართავს.

წინა სეზონისგან განსხვავებით, როცა საშინაო მატჩებს ეროვნულ სტადიონზე მართავდა, ამ სეზონში „ამერი" მეტოქეებს გლდანში, მისსავე საფეხბურთო სკოლის მთავარ მოედანზე დაუხვდება.

# ყველაფრისთვის იყავ მზად!

**გუნდების** გარდა, საახალსეზონოდ მსაჯებიც აქტიურად ვარჯიშობდნენ, თუმც აქამდე მხოლოდ ინდივიდუალურად. შაბათს კი მათაც ბარგი შეკრეს და ბორჯომისკენ გაემართნენ ტრადიციულ შეკრებაზე. ანატოლი მილჩენკოს სამწყსო ბორჯომში 20 ივლისამდე დარჩება და კარსმომდგარი ჩემპიონატისთვის მოემზადება.

მსაჯები შეკრებაზე გრძელ და მოკლე დისტანციებზე სირბილის გარდა თეორიაშიც გაიწაფებიან, თბილისში ჩამოსვლის მეორე დღეს კი ნორმატივებს ჩააბარებენ ეროვნულ სტადიონზე. მერე მათ თეორიაშიც მოუწევთ გამოცდის ჩაბარება და ვინც ამ ყველაფერს თავს გაართმევს, მოედნისკენ გზა ხსნილი აქვს.

ბურაგ დელელეიშვილის ფოტო

# თქვენს გაუმარჯოს გაუმარჯოს!

## გაახალისეთ მოწყენილი ქართული ფეხბურთი

*წინა კვირა „სახალისო ფეხბურთის“ სემინარებით დატვირთული გამოდგა. უეფას ახალი პროექტის ავტორმა, დანიელმა ანდერს ლევინსენმა ქართველებს **OPEN FAN FOOTBALL SCHOOL**-ის პროგრამა გააცნო და ლექციებიც წაიკითხა. ამ კაცის წარდგენამდე კი იმას გეტყვით, რომ „სახალისო ფეხბურთის“ კურატორი ამიერკავკასიის ქვეყნებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარიაა, ხოლო საქართველოში — ბადრი ქარქაშაძე*

ახლა ლევინსენზე — წლების წინ იგი გაეროს წარმომადგენელი იყო ბოსნიაში, სადაც მოუვიდა კიდეც აზრად, ომით დანგრეულ ქვეყნებში ბავშვებს დახმარებოდა. როგორც ყოფილმა ფეხბურთელმა (დანიურ „B-93 კოპენჰაგენში“ თამაშობდა), ბოსნიელ ბავშვებს მოედნები აუშენა, ამ პროექტს კი, როგორც უკვე გითხარით, „სახალისო ფეხბურთი“ დაარქვა. ეს საქმე იმდენად საინტერესო და ეფექტური გამოდგა, რომ სპონსორობა თავად უეფამ იკისრა და 6 წლის განმავლობაში ლევინსენმა ხორვატია, სერბეთი და მაკედონია „გაახალისა“. ახლა კი ამიერკავკასიის დრო დადგა — საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი — ასეთია ლევინსენის ახალი მარშრუტი.

ორასი ბურთი, ორასი მაისურა, ორასი ქუდი, ორასი სავარჯიშო ატრიბუტი — დანიელი მოხელე ქართველ ბავშვებს ამ ყველაფერს უსასყიდლოდ ჩუქნის, უმზადებს მწვრთნელებს, უშენებს მოედნებს... ვფიქრობთ, საკმაოდ უხვი საჩუქარია. ჩვენ კი ანდერს ლევინსენს საქართველოზე სხვაც ბევრი ვათქმევინეთ...

— საქართველოში პირველად შარშან, 23 დეკემბერს ჩამოვედი. აქაურობა დავათვალიერე და მალევე დანიაში უნდა დავბრუნებულიყავი — შობა შინ უნდა გამეტარებინა და ჩემი ოჯახისთვის საჩუქრების შერჩევაც უნდა მომესწრო, მაგრამ... აეროპორტში ხუთი საათი მალოდინეს, რაღაც პრობლემები გაჩნდა და, სამწუხაროდ, დავაგვიანე. აი, ასე დამამახსოვრდა მაშინ საქართველო.

**— და მაინც, მეორედაც ჩამოხვედით...**

— იმიტომ, რომ მოხიბლული დავრჩი ბუნებით, საქართველო ულამაზესი ქვეყანა ყოფილა. ხალხზე ხომ არაფერს ვამბობ — თქვენმა სტუმართმოყვარეობამ გადამრია. სუფრაზე ყოველ სადღეგრძელოში გაუმარჯოს იძახიან, რაც ძალიან მომეწონა. სხვათა შორის, ყოველი ქეიფის შემდეგ ვგრძნობდი, რომ 2-3 კილოს ვიმატებდი.

**— ცუდი რა ნახეთ?**

— აშკარად ჩანს, რომ ფინანსური პრობლემები გაქვთ. ქვეყანას ძალიან უჭირს. აეროპორტიდან ქალაქში რომ მოვდიოდით, კინაღამ გავგიჟდი — ასეთი გზები არსად მინახავს. მაშინვე დავასკვენი, რომ გაღატაკებულ ქვეყანაში ჩამოვედი, თორემ ფული რომ იყოს, იმ გახვრეტილ და დახეთქილ გზებს ხომ გააკეთებდით?!

**— ქართულ ფეხბურთზე რაღას იტყვით?**

— სემინარებზე მწვრთნელებს რამდენჯერმე ფეხბურთი ვათამაშე. მათ მოთელვის დროსაც ვატყობდი, რომ ძალიან ტექნიკურები არიან. ბურთს შესანიშნავად ფლობენ. ისე, თქვენი ჩემპიონატის მატჩებიც ვნახე და ყველაზე მეტად რაც მენიშნა, თამაშის ხშირი შეჩერება იყო. ამდენი პაუზა და ნელი ტემპი ფეხბურთს აუშნოებს. მე რომ ქართველების მწვრთნელი ვიყო, აბსოლუტურად სხვანაირ ფეხბურთს ვათამაშებდი.

**— მაინც როგორს?**

— პატარა მონაკვეთზე ძალიან მაგრები ხართ. აი, როგორც კი გრძელ პასზე მიდგება საქმე, მერე... დღეს ხომ ასე არავინ თამაშობს. ტექნიკა გაქვთ და ამას გამოყენება უნდა. ტალანტებით ძალიან მდიდარი ქვეყანაა, მაგრამ უზარმაზარი პრობლემები გაქვთ, სტადიონებიც არ გივარგათ...

**— თქვენს პროექტზეც ვთქვათ. „სახალისო ფეხბურთი“ პირველად ბოსნიაში განახორციელეთ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და იცით, დღეს რა ხდება იქ?**

— აქედან სწორედ ბოსნიაში მივდივარ. შევამოწმებ, როგორ მიდის მუშაობა, თუმცა უკვე არაერთხელ მაცნობეს, რომ იქ ყველაფერი კარგადაა და ეს პროექტი უკვე საკმაოდ პოპულარულია.

**— საქართველოში როგორ აუბეს მხარი ამ წამოწყებას, კმაყოფილი ხართ?**

— ძალიან კარგი დამოკიდებულებაა ყველას მხრიდან. იმედი მაქვს, ეს პროექტი წარმატებით გაგრძელდება საქართველოშიც. ჩემი პროგრამა სამწლიანია და უეფა აფინანსებს, თუმცა, დარწმუნებული ვარ, მომავალში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც უფრო დიდ წვლილს შეიტანს ამ საქმეში.

**— რამდენ სკოლას ააშენებთ საქართველოში?**

— როგორც ვიცი, სულ 14 სკოლა იქნება. გარდა ამისა, 24 მწვრთნელს ვამზადებთ და ამდენივე ლიდერს, ანუ სკოლის მმართველს. აგერ, მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც კი გვესტუმრა თბილისში და გვთხოვა, ეს პროექტი მოლდოვაშიც ჩავიტანოთ. ცხადია, ასეც მოხდება.

**ბაბა შალამბერიძე**

# გოგინაშვილი ვაჟა ბიძიასთან

**„შერიფის“ გუნდის უფროსი დაზმირ ჯღარკავა და რომან გოგინაშვილი**

*მოლდოვის ჩემპიონმა, ტირასპოლის „შერიფმა“ ოფიციალურად წარუდგინა ჟურნალისტებს ქართველი ახალწვეული რომან გოგინაშვილი.*

*თბილისური „ლოკომოტივის“ ყოფილ თავდამსხმელს ახალმა კლუბმა 16-ნომრიანი მაისურა გადასცა და საჩემპიონთალიგო განაცხადშიც შეიყვანა. გოგინაშვილის გარდა „შერიფს“ განაცხადში კიდევ ორი ქართველი ჰყავს — კაპიტანი ვაჟა თარხნიშვილი და მურთაზ ბურნაძე, რომელმაც სათამაშო ნომერი შეიცვალა და ახალ სეზონში ზურგზე შვიდიანი ეწერება...*

აქვე რომან გოგინაშვილის პრესკონფერენციიდან ჩვენთვის საინტერესო პასუხებს გთავაზობთ...

— ვაჟა თარხნიშვილთან ერთად არასოდეს მითამაშია. როცა ის გორის „დილაში“ იყო, მაშინ ძალიან პატარა ვიყავი. ახლა შემიძლია, ვაჟასთან ერთად გავიდე მოედანზე.

— მანქანა მიყვარს და მყავს კიდეც. განსაკუთრებით მიზიდავს ვინმესთან გაჯიბრება. ეს ჩემი სუსტი წერტილია.

— „შერიფთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე თამაში მსურს და იმედი მაქვს, ასეც მოხდება.

— ტირასპოლი ძალიან მომეწონა, მაგრამ ცოტა ძნელად შესაგუებელი ქალაქი მგონია — ის ხომ თბილისზე გაცილებით პატარაა.

— ქართველი ფეხბურთელების უცხოეთში წასვლას ერთადერთი მიზეზი აქვს: ყველას უნდა, კარიერაში ნაბიჯი წინ გადადგას. ასეა ჩემ შემთხვევაშიც.

— მშობლები სამხრეთ ოსეთთან ახლოს ცხოვრობენ და ბოლოხანს განვითარებული მოვლენების გამო მათზე ძალიან ვნერვიულობ. საქართველო უკვე ძალიან მენატრება.

**ბაბა შალამბერიძე**

# ხიზანეიშვილი: დინამოს პრობლემებს შემეჩვია

*„როსტოვთან“ მატჩში მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში, როგორც იქნა, გამოჩნდა ქართველი მცველი ოთარ ხიზანეიშვილი, რომელმაც მოედანზე 90 წუთი დაჰყო. დინამოელებმა ის შეხვედრა 0:2 დათმეს, ხიზანეიშვილს კი თანაგუნდელებში ყველაზე მაღალი შეფასება ერგო. მან პირისპირ გასულ როსტოველებს, რომან ადამოვს და ალექსანდრ ალხაზოვს არ გაატანინა*

— გუნდს თამაში არ მისდის და მიყოლებით მარცხდება. — გვითხრა გუშინ ოთარმა — ამით რეპუტაციასაც ვკარგავთ და მაყურებლებსაც.

**— თანაგუნდელებში ყველაზე მაღალი შეფასება შენ დაიმსახურე...**

— მთლიანობაში საკუთარი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. ეს მატჩის შემდეგ გუებიკმაც აღნიშნა. რაც შემეძლო, გავაკეთე, ბევრი ვირბინე და ვიბრძოლე, თან არც ერთ გაშვებულ გოლში ბრალი არ მაქვს.

**— შენი აზრით, აქამდე რატომ არ გენდობოდა ჩეხი?**

— რა ვიცი, ალბათ იმიტომ, რომ გუნდში მისი მიყვანილი არ ვიყავი, ჩემს პოზიციაზე კი მისი თანამემამულე თამაშობდა.

**— როგორც ამბობენ, „როსტოვთან“ მარცხიანი მატჩი შეიძლება ბოლო აღმოჩნდეს გუებიკის დინამოურ კარიერაში...**

— მის გაშვებაზე ხმები საკმაოდ დიდი ხანია, დადის. მაგრამ ჯერ არაფერი იცვლება, ალბათ მარტო გუებიკის ბრალიც არაა, რომ გუნდი ასე უსახურად თამაშობს. თანაც ასეთ პერიოდში მწვრთნელის შეცვლა რამდენად გაამართლებს, კიდევ საკითხავია.

**— როგორ ფიქრობ, „დინამოს“ წარუმატებელი თამაშის მიზეზი რა არის?**

— ალბათ მაინც ფეხბურთელთა არასწორი შერჩევა. საკმაოდ ბევრი ჩეხი ფეხბურთელი ჩამოიყვანეს, მათგან კი ორმა თუ გაამართლა. ამას დაუმატეთ დმიტრი ბულიკინისა და ედუარდ კორჩაგინის ტრავმები და შეტევაში ჩვენი პრობლემების მიზეზიც ნათელია.

**— ბულიკინი ხომ მაინც მიდის?**

— არსად აღარ მიდის, ის კიდევ ერთი წელი „დინამოში“ დარჩება. ის კი არა, ევრო 2004-ზე ლატვიელთა ფორვარდი ანდრეი პროხორენკოვსიც შეიძინეს.

**— ერთი სიტყვით, შენ უკვე ძირითადის მოთამაშედ ითვლები?**

— მგონი, ასეა, თუმცა ბევრი რამ ახლა ჩემზეცაა დამოკიდებული.

**დავით ერაძე**

# ჰაინკესმა 0:3 გაამართლა

## ჯობიაშვილს შეეძლო, მაგრამ...

**ლევან კობიაშვილის** „შალკე“ სეზონს ინტერტოტოს თასით იწყებს. გელზერკირხენელები 17 ივლისს მაკედონიურ „ვარდარს“ უმასპინძლებენ, რომელმაც პენატლების სერიით ბელგიური „გენტი“ დაამარცხა. განმეორებითი შეხვედრა 24 ივლისს მაკედონიაში გაიმართება.

მანამდე კი „შალკემ“ საკმაოდ მწარე ალიყური მიიღო შვეიცარიული „ბაზელისგან“. ევრო 2004-დან დაბრუნებული ფეხბურთელებით „ბაზელმა“ 3:0 დაამარცხა ბუნდესლიგელები. შეხვედრაში სრულად ითამაშა „შალკეს“ ქართველმა ლევან კობიაშვილმა. მას გოლის გატანა ან პენალტის მონაღირება შეეძლო, მაგრამ... შეხვედრის 27-ე წუთზე აილტონმა გამოზომილი პასით მეტოქის საჯარიმოში კობიაშვილი მონახა. ლევანმა დარტყმას დეგენის მოტყუება ამჯობინა, საბოლოოდ შვეიცარიელმა ის წააქცია, მაგრამ არბიტრმა პენალტი არ დანიშნა.

„შალკეს“ მთავარი მწვრთნელის იუპ ჰაინკესის მატჩისშემდგომი კომენტარი ასეთი იყო: „გუნდი ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არაა, სათანადოდ ვერც ახალწვეულები მოერგნენ. საუკეთესო ფორმას ალბათ ინტერტოტოს პირველი ეტაპისთვისაც ვერ ვუწევთ, თუმცა ბუნდესლიგის სტარტისთვის ყველაფერი რიგზე იქნება“.

ჰაინკესმა იმ შემადგენლობას, რომელმაც „ბაზელის“ წინააღმდეგ ითამაშა, ძირითადი უწოდა, ასე რომ, კობიაშვილს ადგილი დაბევებული უჩანს.

**დავით ერაძე**

# ფლორენტინო პერესი

## რეალმა პრეზიდენტი დაიტოვა

## სანსი არჩევნების შედეგების გაუქმებას ითხოვს

## რა ღირს მადრიდული ვარდი?

*რავინ თქვას, საქართველოს მოქალაქეებზე უკეთ მსოფლიოში ვინმე ერკვევა საარჩევნო ტექნოლოგიებში. იმის დაჯერებაც ჭირს, რომ ვინმეს ერთხელ მაინც არ გსმენიათ ეგზიტპოლის შესახებ. ამიტომაც განმარტებით თავს აღარ შეგაწყენთ და პირდაპირ გეტყვით, რომ გუშინ „რეალიც“ [illegible] ტორ არჩევნების მსვლელობასა ეგზიტპოლი გაზეთმა „მარკამ“ [illegible] და ისეთი შედეგი მიიღო, არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოცხადებამ ინტერესი დაკარგა*

ეგზიტპოლმა აჩვენა, რომ 700 გამოკითხული ამომრჩევლიდან 661-მა ხმა კლუბის ახლანდელ პრეზიდენტს, ფლორენტინო პერესს მისცა, წინა პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა 25 ხმა მიიღო, მესამე კანდიდატმა არტურო ბალდასანომ კი თოთხმეტი. და რაკი ეგზიტპოლები არ ტყუიან-ხოლმე, იმავითვე ცხადი შეიქნა, რომ კლუბის 65 197 წევრის ხმები დაახლოებით იმავე პროცენტით გადანაწილდებოდა, როგორც ეგზიტპოლმა ივარაუდა.

საბოლოო შედეგი ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებამდე ცხადი შეიქნა თავად კანდიდატებისთვისაც. სანსმა არჩევნების შედეგების გაუქმება მოითხოვა, ხმის მიცემის პროცედურა არასწორად ჩატარდაო. ფლორენტინო პერესმა კი მიამიტურად განაცხადა, ფრიად გაოცებული დავრჩები, გამარჯვება მე თუ არ დამრჩაო. „კლუბის წევრებმა იციან, თუ რა მიზნები მაქვს — თქვა პერესმა — მათ იციან, რომ დანაპირებს ყოველთვის ვასრულებ. მათ სჯერათ, რომ მე მომავალშიც გადმოვიბირებ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელებს, როგორც ამას წინა ოთხ წელიწადში ვაკეთებდი“.

ის, რომ ფლორენტინო პერესმა წინა ოთხ წელიწადში, პრეზიდენტობის პირველი ვადისას, ყველა დაპირება შეასრულა, საკამათოდ არავინ ხდის და ხინჯად მხოლოდ ის რჩება, რომ წინა სეზონში „რეალმა“ ვერაფერი მოიგო. მაგრამ ეს უკვე წარსულია, უფრო საინტერესო კი პერესის სამომავლო გეგმებია.

არჩევნების წინა დღეს პერესი უეინ რუნის ყიდვაზე ლაპარაკობდი, თუმცა გუშინ თქვა, პირველ რიგის ამოცანად ხაბი ალონსოს, რიკარდო კარვალიუს და კოშტინიას ყიდვა დავისახეო. მოგეხსენებათ, ალონსო „რეალ სოსიედადში“ თამაშობს, კარვალიუ და კოშტინია კი პორტუგალიელები არიან.

„ამ ფეხბურთელების შეძენაზე „სოსიედადის“ პრეზიდენტ ხოსე ლუის ასტიასარანთან და „პორტუს“ პრეზიდენტთან პინტუ და კოშტასთან არჩევნებამდე ცოტა ხნით დარე დავიწყე მოლაპარაკება — თქვა პერესმა — მაგრამ სწორედ მოახლოვებული არჩევნების გამო მათ ფეხბურთელებში არარეალური თანხები მოითხოვეს. ახლა, როცა არჩევნები დარსულდა და მე ისევ პრეზიდენტი ვარ, ვფიქრობ, ისინი უფრო გონივრულ ფასზე დათანხმდებიან“.

ლორენსო სანსისთვის ხმა ბევრმა არ გაიმეტა

როგორც ამბობენ, პერესი „სოსიედადს“ ალონსოში 14 მილიონ ევროს სთავაზობს, რიკარდო კარვილიუს სანაცვლოდ კი ფერნანდო მორიენტესს იძლევა, რომელსაც „მონაკოში“ ივჯარის ვადა გაუვიდა.

პერესმა ისიც თქვა, ჩემს სატრანსფერო პოლიტიკაში ხოსე კამაჩოს სტრატეგიებს მივყვები, რაც ყველა რბოლაში მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელების ყოლას და მათ ჰარმონიულ შერწყმას გულისხმობსო.

მოგვიანებით, როცა „მარკამ“ 1300 ამომრჩევლის გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, ვითარება უცვლელი დარჩა. 1300 კაციდან 1216-მა თქვა, ხმა პერესს მივეცითო.

**კოტე კეკელია**

# კარვალიუს ფიგუსთან უნდა

ესპანურმა „მარკამ“ პორტუგალიელები, კოშტინია და კარვალიუ „რეალში“ გადაიყვანა

მადრიდის „რეალში“ პორტუგალიელი მცველნახევარმცველის — კარვალიუსა და კოშტინიას გადაბირების საქმე შეფერხდა. როგორც ესპანური „მარკა“ იუწყება, „პორტუს“ პრეზიდენტი პინტუ და კოშტა ფლორენტინო პერესს ევროპის ვიცე-ჩემპიონთა სატრანსფერო ოპერაციაში რომელიმე მადრიდელის ჩართვას სთხოვს. ორიოდ დღის წინ პორტუში საქმიანი შეკრებისას, ესპანური წყაროების ცნობით, პორტუგალიელებს „დრაგაუზე“ „ბერნაბეუს“ მავანი ფეხბურთელის მიყვანის სურვილი გამოუთქვამს, თუმც ეს „მავანი“ თავდამსხმელი არ უნდა ყოფილიყო. პორტუგალიური „O JOGO“-ს ცნობით კი, სავსებით შესაძლებელია, „პორტუ“ ფერნანდო მორიენტესითაც იყოს დაინტერესებული.

სატრანსფერო ნადიმზე სხვა სამეფოგუნდელთა სახელებმაც გაიჟღერეს, რომელთა შორის პორტუელებს სანტიაგო სოლარი მოსწონებიათ.

რაც შეეხება კარვალიუსა და კოშტინიას, მათ ძალიანაც მიუწევთ გული ჯადოსნური „სანტიაგო ბერნაბეუსკენ“, თუმცა მშვენივრად ხვდებიან, რომ საფეხბურთო გადაადგილებათა ბედნიერად მოგვარება ოდენ მოთამაშეთა სურვილზე არაა დამოკიდებული.

„ჩემთვის დიდი პატივია, მადრიდის „რეალი“ რომ მიხმობს, მაგრამ „პორტუდან“ წასვლა კლუბის თავკაცთა გადასაწყვეტია და მარტო მე ამ საქმეს ვერ მოვაგვარებ. მოუთმენლად ველოდები მოლაპარაკების დასრულებას, ბრწყინვალე ექნებოდა ზიდანის, რაულისა და ჩემი ძმაკაცის, ლუიშ ფიგუს მხარდამხარ თამაში. ადრე მითხრეს, რომ ფიგუ „რეალის“ თავკაცობასთან ძალიან მაქებს. შენზე ნათქვამი კარგი სიტყვა, ბუნებრივია, გსიამოვნებს, თუმც ლუიშის ქებას სხვაზე მეტი მნიშვნელობა აქვს“ — განაცხადა კარვალიუმ „მარკას“ ჟურნალისტებთან საუბარში.

**ლადო ხოფერია**

# პორტუგალიას კვარესმა მოუკვდა




გუშინ დილას 49 წლისა გარდაიცვალა პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი მანუელ კვარესმა, რომელიც ახლახან დასრულებული ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთი დირექტორიც იყო.

კვარესმა თითქმის სამი ათეული წელი მუშაობდა ფეხბურთის ფედერაციაში, ბოლო 14 თვე კი მთლიანად ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო საქმეებით იყო დაკავებული.

კვარესმას გარდაცვალების გამო უეფას განცხადებაში წერია, რომ ევროპის საფეხბურთო ოჯახმა დიდი დანაკლისი განიცადა, საუკეთესოდ ორგანიზებული ევროპის ჩემპიონატი კი კვარესმას დამსახურება იყო.

# კოპა ამერიკა 2004
## პერუ (6-25 ივლისი)

### A ჯგუფი. II ტური

**კოლუმბია 1:0 ბოლივია**

1:0 პერეა (90)

**კოლუმბია:** ენაო, გ. მარტინესი, ოროსკო, დინასი, ვიქტორია, ო. დიასი, აგილარი (ვიაფარა 84), პატინო, დ. ფერეირა (პერეა 77), ტ. მორენო (ე. მურილიო 70), ს. ერერა

**ბოლივია:** ლ. ფერნანდესი, ს. ხაურეგი, არანა, ლარდესი, ლ. ალვარესი, ტუფინო, ლ. პიზარო, ლ. კრისტალდო (ვ. ფლორესი 34), ლ. გუტიერესი, მერკადო (რ. სუარესი 65), ბოტერო

**მსაჯი:** პედრო რამოსი (ეკვადორი)

35 000 მაყურებელი

**პერუ 3:1 ვენესუელა**

1:0 ფარფანი (34), 2:0 სოლანო (61), 3:0 აკასიეტე (72), 3:1 მარჯოტა (74)

**პერუ:** ო. იბანიესი, გ. სალასი, აკასიეტე, რებოსიო, ვილკესი, სოლანო (ხ. სოტო 78), ხაიო, პალასიოსი (სიურლიცა 85), კ. პიზარო, ა. მენდოსა (მაესტრი 89), ფარფანი

**ვენესუელა:** ანგელუჩი, ვალენილია, ხ. რეი, ჩიკერო, ხონაი ერნანდესი, მ. მეა ვიტალი, პაესი (ე. გონსალესი 65), ლ. ხიმენესი, ხ. არანგო, ხ. როხასი (რ. მორანი 46), რონდონი (მარჯოტა 58)

**გაძევება:** მეა ვიტალი (64), პიზარო (86)

**მსაჯი:** რუბენ სელმანი (ჩილე)

35 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლუმბია | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| პერუ | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| ბოლივია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ვენესუელა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | 0 |

### III ტური: 12 ივლისი

ვენესუელა – ბოლივია  პერუ – კოლუმბია

### B ჯგუფი. II ტური

**არგენტინა 0:1 მექსიკა**

0:1 მორალესი (9)

**არგენტინა:** აბონდანსიერი, ხ. ძანეტი, რ. აიალა, ჰაინცე, სორინი (ფიგეროა 77), ლ. გონსალესი (ტევესი 67), მასკერანო, კილი გონსალესი, დალესანდრო, სავიოლა, ს. დელგადო (მ. როსალესი 67)

**მექსიკა:** ო. სანჩესი, ოსორიო, მარკესი, დავინო, ბრისენო (ო. ვალდესი 77), ტორადო, კარმონა, პარდო, რ. მორალესი (ოსორნო 65), არელანო, ბორგეტი (ალტამირანო 65)

**მსაჯი:** მარსიო რესენდე დე ფრეიტასი (ბრაზილია)

25 000 მაყურებელი

**ურუგვაი 2:1 ეკვადორი**

1:0 ფორლანი (61), 1:1 სალასი (73), 2:1 ბუენო (78)

**ურუგვაი:** ბარბატი, გ. ვარელა, ბიზერა, ჰ. მონტერო (ლაგო 60), დ. როდრიგესი, პოუსო, მ. სოსა, კ. როდრიგესი (ვ. სანჩესი 56), ფორლანი (დ. პერესი 68), ბუენო, დარიო სილვა

**ეკვადორი:** ჯ. იბარა, დე ლა კრუზი, ი. ურტადო, ჯ. ესპინოზა, რეასკო, ობრეგონი, ე. ტენორიო (ფ. სალასი 64), ე. მენდესი (ორდონესი 82), აგინაგა, ჰ. კალა, ა. დელგადო

**მსაჯი:** გუსტავო ბრანდი (ვენესუელა)

25 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ურუგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| მექსიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| არგენტინა | 2 | 1 | 0 | 1 | 6:3 | 3 |
| ეკვადორი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:8 | 0 |

### III ტური: 13 ივლისი

მექსიკა – ეკვადორი  არგენტინა – ურუგვაი



REUTERS ლიმბადან

კოლუმბია მეოთხედფინალში ამ გოლით გავიდა



REUTERS ჩიკაგოდან

მარსელო ბიელსას რიკარდო ლავოლპემ 1:0 მიაძახა




REUTERS ლიმბადან

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლაუდიო პიზაროს ფეხიც მოხვდა და წითელიც

# პიზაროს თავი გაუხმა
## სახეგაშეშებული სახლში გაუშვეს

**კოლუმბიამ** მეორე მატჩიც მოიგო და პირველი მეოთხედფინალისტი გახდა. 20 წლის ედისონ პერეამ შეხვედრის ბოლო წუთზე მოხდენილი თავური დარტყმით გაიტანა.

ბოლივიელებს პირველ ტაიმში კაპიტანი ლუის კრისტალდო დაუშავდათ და შეცვალეს. 34 წლის კრისტალდო გუნდში ყველაზე გამოცდილია და მსოფლიოს 1994 წლის ჩეპიონატზეც უთამაშია.

მეტოქეებმა მხოლოდ თითო ნაღდი საგოლე მომენტი შექმნეს მთელი მატჩის განმავლობაში.

კოლუმბიელმა სერხიო ერერამ ახლოდან აცილა კარს, ხოლო ბოლივიელი ლიმბერგ გუტიერესის დარტყმული ბურთი ხაზიდან მცველებმა გამოიტანეს.

პერუმ ვენესუელას სძლია, მაგრამ ძვირად დაუჯდა, რადგან კლაუდიო პიზარო დაშავდა და „კოპა ამერიკას" ჩამოშორდა.

„ბაიერნის" ფორვარდი 76-ე წუთზე შეუძლოდ გახდა, მერე მაინც გააგრძელა თამაში და ათიოდ წუთში მსაჯმა გააძევა.

პიზარომ შაბათ დილას ექიმს შესჩივლა, თავბრუ მეხვევა და გული მერევაო, ექიმმა რამონ აპარისიომ განაცხადა, რომ მას ერთთვიანი დასვენება სჭირდება. მეგოლეს თავის მარჯვენა ნახევარი გაშეშებია.

პერუელები ჯეფერსონ ფარფანის გოლით დაწინაურდნენ. პსვ-ს 19 წლის ლეგიონერმა მეკარე ჟილბერტო ანგელუჩის შეცდომით ისარგებლა, რომელმაც ბურთი ვერ დაიჭირა. გახარებულმა ფარფანმა მაისურა გაიძრო, რისთვისაც ყვითელი ბარათი დაიმსახურა. მეორე გოლი ანდრეს მენდოსას პასით ნორბერტო სოლანომ შეაგდო — საჯარიმოს კუთხიდან ზუსტად გაისროლა.

ამის შემდეგ ვენესუელელი მიგელ მეა ვიტალი გააძევეს და სანტიაგო აკასიატემ თავური დარტყმით ანგარიშში სხვაობა სამამდე გაზარდა.

მასიმო მარჯოტამ უმალ ერთი გაქვითა — მეკარე ოსკარ იბანიესი კარიდან გამოსული დალანდა და შეცდომისთვის დასაჯა. ვენესუელელებმა მეორეც გაიტანეს, მაგრამ მსაჯმა წესის დარღვევა აღნიშნა და გოლი გააუქმა.

ეკვადორთან შთამბეჭდავად მოგების შემდეგ არგენტინამ მექსიკასთან წააგო და მარსელო ბიელსა კვლავ საკრიტიკო გახდა.

რამონ მორალესმა მეცხრე წუთზე საჯარიმო დარტყმა ბრწყინვალედ შეასრულა — ბურთი ცხრიანში ჩასვა. მორალესი მექსიკელთაგან გამორჩეული იყო.

კოპა ამერიკის სტუმრებს პირველი ტაიმის მიწურულს მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ. ბორგეტიმ ხელსაყრელი პოზიციიდან თავის სუსტად დაარტყა და აბონდანსიერის მოგერიება არ გასჭირვებია.

არგენტინელები შესვენების შემდეგ გამოცოცხლდნენ. ბევრი კუთხურიც ჩააწოდეს, მაგრამ ამაოდ. ურუგვაელმა ოსვალდო სანჩესმა ორჯერ იყოჩაღა. ლუის გონსალესს და აიალას არ გაატანინა.

მარსელო ბიელსა: „ჩვენ ვერ მოვიგეთ, რადგან მომენტებით ვერ ვიხეირეთ, მეტოქემ კი ორიდან ერთი გამოიყენა. ფეხბურთში ასე ხომ ხშირად ხდება. მექსიკელები თითქმის შვიდი მცველით გვეთამაშნენ და მათი გავლა გაგვიძნელდა".

მექსიკელთა თავკაცი რიკარდო ლავორპე არგენტინაშია დაბადებული და 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონთა სათადარიგო მეკარე იყო: „არგენტინაში დავიბადე, მაგრამ მექსიკაში დიდი ხანი გავატარე და ამ ქვეყანამ ბევრი რამ მომცა. ჩვენი დაცვა შესანიშნავად გამოიყურებოდა, მორალესმა კი დიდებული გოლი გაიტანა".

ურუგვაიმ ეკვადორს სძლია. ეს იყო პირველი გამარჯვება ურუგვაელთა ახალი მწვრთნელისა, რომელმაც ნაკრები გასულ აპრილს ჩაიბარა. ფოსატი შარშან ეკვადორში მუშაობდა, ერთ-ერთ იქაურ კლუბს წვრთნიდა.

„გამარჯვება მიხარია, მაგრამ გულის სიღრმეში მეწყინა კიდეც, რადგან მეტოქე გუნდის ბევრ ფეხბურთელს კარგად ვიცნობ. ეკვადორში ერთი წელი გავატარე და მათი ძალიან მადლიერი ვარ" — თქვა ფოსატიმ.

ანგარიში დიეგო ფორლანმა გახსნა. ბურთი მეტოქის ნახევარზე ათრია, წაიწია და 25 მეტრიდან მეკარე ჯოვანი იბარა გააოგნა.

ურუგვაელებმა პირველ ტაიმში არაერთი ხელსაყრელი ეპიზოდი შექმნეს. იბარამ ახლოდან თავდაკრული ბურთი მოიგერია, ხოლო მონტეროს დარტყმული ძელს მოხვდა. ტრავმის გამო მონტერო მეორე ნახევარში შეცვალეს.

ფრანკლინ სალასმა დაახლოებით საპენალტე ნიშნულიდან გაათანაბრა — ეკვადორელმა ფორვარდმა უკუგდებულ ბურთს დაჰკრა, მაგრამ კარლოს ბუენომ მეტოქეს სიხარული ხუთ წუთში გაუნელა, რადგან ურუგვაის გამარჯვების გოლი შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

REUTERS ლიმბადან

დიეგო ფორლანი ურუგვაის გოლით შეეწია

# ბოლოს ბრაზილიელად დარჩა



ედუმ (№14) ბრაზილიელობა შეიფერა

*ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრიდან ერთი თვის შემდეგ, ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველი ედუ „კოპა ამერიკაზე“, თავის როლზე და ინგლისის ჩემპიონთან ახალი კონტრაქტის გაფორმებაზე საუბრობს. მოგეხსენებათ, კოპას პირველი მატჩი ბრაზილიამ ჩილესთან 1:1 ითამაშა, 26 წლის ედუმ კი ამ ამბიდან ორი დღის შემდეგ განაცხადა, რომ თავისი თამაშით კმაყოფილია, თუმცა ანდებში ამაღლებული ქალაქ არეკიპას გაიშვიათებულმა ჰაერმა თავისი ცუდი როლიც ითამაშა*

„კმაყოფილი ვარ, რადგან საამისო საბაბი მაქვს, ჯერ ერთი, ინგლისის ჩემპიონატის შემდეგ მხოლოდ ორი კვირით დასვენება შევძელით და მეორეც, შეჯიბრებისთვის მოსამზადებლად მხოლო 10 დღე გვქონდა, ამას დაამატეთ ანდების კლიმატიც, რომელმაც მატჩის ბოლოს მაგრძნობინა თავი“ — უთხრა ედუმ სააგენტო „როიტერის“ კორესპონდენტს.

საინტერესოა რომ ედუს სანაკრებო კარიერა საკმაოდ მოკლეა, მაგრამ ამ მოკლე დროში ორჯერ მოუხდა ჩილელებთან შეხვედრა. პირველად ეს ივნისში მოხდა, როდესაც სანტიაგოში, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში ბრაზილიამ და ჩილემ 1:1 ითამაშეს.

„ჩილელები ძალიან სწრაფები და ძლიერები არიან. ისინი ძნელი მეტოქეები გახლავან, თუმც მეორე შეხვედრამ გაგვიმართლა და მოვიგეთ“.

სხვათა შორის, ედუ იმ იშვიათთაგანია, რომელმაც ჩილესთან პირველადაც ითამაშა და მეორედაც. საქმე ის არის, რომ ბრაზილიელთა მწვრთნელი, კარლოს ალბერტო პარეირა თავისი მოწინავე ფეხბურთელების გადატვირთული კალენდრისგან გარიდებას ცდილობს. „არსენალისა“ და ბრაზილიის ეროვნული გუნდის მარცხენა ნახევარმცველი კი არ მალავს, რომ ნაკრებში გამოძახებას დიდხანს და მოუთმენლად ელოდა.

„განსაკუთრებით 2000 წელს გავნაწყენდი, როდესაც ოლიმპიადაზე არ წამიყვანეს. მაშინ ხომ ასაკითაც ზუსტად შესაფერისი გახლდით, კარგადაც ვთამაშობდი. ტიტულებს ვიგებდი „კორინთიანსთან“ ერთად — „კორინთიანსი“ კი, მინდა მოგახსენოთ, დიდი კლუბია — ბრაზილიის ნაკრების თავკაცობამ კი ეს ყველაფერი ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ თავის გამოსაჩენად ერთი შანსიც არ მომცა“.

მაგრამ ედუს ყურები არ ჩამოუყრია, მან „არსენალთან“ ერთად გაგრძელა ტიტულების მოხვეჭა და ბრაზილიელი ჟურნალისტების მხარდაჭერის ობიექტიც გახდა. ფეხბურთელი დარწმუნებულია, რომ მის ნაკრებში აყვანას ხელი იმანაც შეუწყო, რომ ბრაზილიური ტელევიზიის პროგრამაში პრემიერლიგის თამაშებმა რეგულარული ადგილი დაიჭირა.

„დიახ, ამან ნამდვილად მიშველა. არცთუ დიდი ხნის წინ ბრაზილიაში ინგლისურ ფეხბურთს ძალიან ცოტა ხალხი თუ ადევნებდა თვალყურს“.

ის კი არა, აპრილში ნაკრებში რომ არ მიეწვიათ (მის გარდა უნგრეთთან ამხანაგურ შეხვედრაში კიდევ სამი ახალი წვეული აღმოჩნდა) ინგლისის ეროვნულ გუნდზეც კი იწყებდა ფიქრს.

„მე მკითხეს, ხომ არ ვიუარებდი ნატურალიზაციას და სამომავლოდ ინგლისის ნაკრებში თამაშს. რაზეც მივუგე, რომ თუ პარეირა არ გამარკვევდა ვითარებაში და დავინახავდი, რომ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი მიმცირდება, გაინგლისელებას დავთანხმდებოდი“.

ამ სიტყვებიდან ცოტა ხანში ედუ ნაკრებში მართლაც მიიწვიეს, თუმც ვარდის უეკლოდ დაკრეფის იმედიც არ უნდა ჰქონდეს, რადგან ნახევარდაცვის მარცხენა ფრთაზე მიუნხენის „ბაიერნის“ ზე რობერტოსთან მოუწევს კონკურენცია.

ედუს სწამს, რომ ინგლისურმა ფეხბურთმა იგი გაამდიდრა.

„თუმცა თავიდან გამიჭირდა, რადგან ინგლისში რომ ჩავედი, იქ შუა სეზონი იყო გახურებული, მე კი ფიზიკურად არ გახლდით საამისოდ მზად, მაგრამ ამის შემდეგ მივეჩვიე სისწრაფეს და დატვირთვებს, რამაც ჩემთვის დადებითი როლი ითამაშა“.

ედუ, რომელსაც მარტში ვაჟი შეეძინა, თურმე ინგლისში ცხოვრებითაც ზოგადად კმაყოფილია.

„ინგლისური ყოფა მომწონს, მეტად და მეტად ვეჩვევი. ტყუილია, რომ ინგლისელები უმეგობრო ხალხია, კოპადან რომ დავბრუნდები, „არსენალთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებაზე დაუყოვნებლივ დავიწებ საუბარს, ჯანმრთელი ახალგაზრდა ვარ და მწამს, მომავალ სეზონში წინაზე უკეთ ვითამაშებ“.

**პაპუნა კედია**



# მედგარი ედგარი მილანში ბრუნდება

ედგარ დავიდსმა საბოლოოდ გადაწყვიტა თავისი ბედი — მილანის „ინტერთან“ სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, რითაც ამ ზაფხულის ერთ-ერთი სატრანსფერო სერიალთაგანი დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ხელმომწერმა მხარეებმა ხელშეკრულების ფინანსური მხარე არ გაამხილეს, მაგრამ ჟურნალისტებმა გამოიკვლიეს და დადგინეს, რომ ჰოლანდიელი ნახევარმცველი წელიწადში დახლოებით 3,5 მილიონ ევროს მიიღებს. დავიდსი „იუვენტუსიდან“ „ბარსელონაში“ ნახევარი სეზონით გასესხების შემდეგ, ივნისის ბოლოს თავისუფალი აგენტი გახდა და, შესაბამისად, „ინტერს“ მისი შეძენა კაპიკიც არ დაჯდომია. მილანელი „შავ-ლურჯების“ გარდა, მის გადაბირებას ცდილობდნენ „მილანი“, „რომა“, „ჩელსი“ და „ტოტენჰემ ჰოთსპური“. დარჩენას სთხოვდა „ბარსელონაც“.

აღსანიშნავია, რომ „ტოტენჰემის“ შეფები ორიოდ დღის წინ იმახდნენ, ეჭვი არ გვეპარება, დავიდსს „უაით ჰართ ლეინზე“ უკეთესი ადგილი დედამიწის ზურგზე არ ეგულებაო, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ იტალიური პრესა მთელი ამ ხნის განმავლობაში დარწმუნებით აცხადებდა, რომ ჰოლანდიელი „ინტერს“ ვერ ასცდებოდა.

„ჩვენ ბედნიერები ვართ. „ინტერის“ სატრანსფერო პოლიტიკა უმაღლესი დონის ფეხბურთელების ეკონომიკურად მართებულ შეძენას ეყრდნობა და ამიტომ დავიდსის ყიდვა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გამოდის“.

საინტერესოა, რომ ზოგი წყაროს მტკიცებით, ჰოლანდიელს „ინტერისთვის“ სიტყვიერი პირობა ჯერ კიდევ აპრილში ჰქონდა მიცემული, მაგრამ საბოლოო წერტილის დასასმელად რობერტო მანჩინის ამბის გადაწყვეტას ელოდა — მოგეხსენებათ, მანჩინის „ლაციოს“ შეფის სავარძლიდან „ინტერისაში“ გადაჯდომა ბოლო ხანს რომაელთა მიზეზით გაჯანჯღლდა და ამიტომ დაემატა დავიდსის სერიალსაც ერთი-ორი სერია.

ფაკტი: „მისი შეძენა ბევრ ევროპულ კლუბს სურდა. იგი კი თავისუფალი აგენტი გახლდათ და საკუთარი ბედის სრული ბატონ-პატრონი გახლდათ. თუ მან სხვებს „ინტერი“ ამჯობინა, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი ამბები და შეხედულებები ერთმანეთს დაემთხვა, თან პირველივე შეხვედრიდან. დავიდსის ოსტატობის ამბავი საყოველთაოდ არის ცნობილი, მაგრამ „ბარსელონაში“ გატარებულმა ექვსმა თვემ, უფრო სწორად კი გუნდის ცხრილის შუიდან მეორე ადგილზე ამაღლებამ, ვფიქრობთ, მის ვინაობას კიდევ ერთი პასუხი გასცა“.

ედგარ დავიდსის უწინდელი კლუბები იყო „აიაქსი“, „მილანი“, „იუვენტუსი“ და „ბარსელონა“. შეგახსენებთ იმასაც, რომ „ინტერმა“ ამ ბოლო ხანს უკვე იყიდა არგენტინელი ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი და „ბოკა ხუნიორსის“ მცველი ნიკოლას ბურდისო.

„ინტერი“ იტალიის ჩემპიონი 1989 წლის შემდეგ არ ყოფილა.

**პაპუნა კედია**

# ემერსონის ცნობა



*სატრანსფერო სეზონი იმით არის გამორჩეული, რომ ვაჭრობის წესებს ექვემდებარება და საქმე, რომელიც ხუთი წუთის წინ შეუძლებელი ჩანდა, ხუთი წუთის შემდეგ წარმატებულად ცხადდება. ეს ის დროა, როდესაც ჟურნალისტი მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წერს, რომ ესა და ეს ფეხბურთელი ამა და ამ გუნდში გადადის, ხოლო მკითხველი გაზეთს რომ შლის, იმ მომენტში ის ფეხბურთელი სულ სხვა გუნდის წევრი ხდება*

ამხელა შესავალი ბრაზილიელი ემერსონის გამო დაგვჭირდა. რაღაც ისე გვგონია, რომ საბოლოოდ ემერსონი „რომადან“ „იუვენტუსში“ გადავა, მაგრამ ეს როდის მოხდება — თქვენთვის, მკითხველო, შეიძლება უკვე მომხდარიცაა — არავინ იცის.

ბოლო ცნობები ასეთია: „რომამ“ განაცხადა, რომ პრინციპში ამ ტრანსფერის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, მაგრამ თუ 22 მილიონ დოლარს არ მიიღებს, ნახევარმცველს ძველებურად გამოიძახებს საწვრთნელ შეკრებაზე.

„შეკრებას 13 ივლისს ვიწყებთ, — თქვა შაბათს კლუბის დირექტორმა ფრანკო ბალდინიმ — მანამდე ემერსონი სხვათა მსგავსად იქ მოვა შემოწმების გასავლელად. შემდეგ, ვნახავთ თუ რა მოხდება. გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ ის გავყიდოთ, რადგან კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ბოლომდე გაჩერება მის უფასოდ გაშვებას ნიშნავს. ეს შეცდომა იქნებოდა იმიტომაც, რომ იგი სულ მომავალზე დაიწყებდა ფიქრს, თამაშს ვეღარ შეძლებდა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ 22 მილიონზე ვართ თანახმა. შეიძლება 18 მილიონს ჰლუს მანუელე ბლაზი. ყოფილი პარმელი ნახევარმცველი ერთადერთია, რომელსაც ამ მოლაპარაკების ნაწილად განვიხილავთ“.

აი, ასეთ დროს „იუვენტუსი“ „რომას“ მხოლოდ 13 მილიონსა და ზედ დაყოლებულ მატეო ბრიგის სთავაზობს, არადა ეს ვარიანტი რომაელთა ახალ მწვრთნელს, ჩეზარე პრანდელის არ აინტერესებს. ბალდინიმ განაგრძო:

„ჩვენ პრობლემების მოგვარებას ყოველთვის მოლაპარაკებების გზით ვცდილობთ, მაგრამ მოლაპარაკებები ორმხრივ მოძრაობას და საერთო აზრამდე მისვლას უნდა ნიშნავდეს“.

აღსანიშნავია, რომ „რომამ“ და „იუვენტუსმა“ ერთი წლის წინ ასევე იკამათეს კიეველი ნიკოლა ლეგროტალიეს გამოც. მაშინ ფაბიო კაპელოს (რომელიც დღეს „იუვეს“ უდგას სათავეში) ტურინელებმა აჯობეს.

თუმცა ჩვენ სჯობს ემერსონს დავუბრუნდეთ, რომელიც ფრანკო ბალდინის ნათქვამის შესაბამისად სეზონისწინა სამედიცინო შემოწმებაზე არ მივიდა. თურმე მისმა ექიმმა დაადგინა, რომ იგი დათრგუნულია და ვარჯიშზე აღარ უნდა გამოცხადდეს. უფრო სწორედ კი, ემერსონმა ნათლად აგრძნობინა რომაელებს, რომ მისი კვლავ ძველ გუნდში ერთად ვარჯიში სრული უაზრობაა, რაც ექიმის დასკვნით დაადასტურა. ველით გაგრძელებას.

**პაპუნა კედია**



კლოდ სიმონემ რაიმონ დომენიკი გადაწყვიტა

# მუსიე დომენეკ, დღეს თქვენ დაგასახელებენ!

*საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი რაიმონ დომენეკი, გაზეთ „ეკიპის“ ცნობით, ქვეყნის ეროვნული გუნდის მწვრთნელი გახდება — ლორან ბლანსაც აჯობებს და ჟან ტიგანასაც*

შეგახსენებთ, რომ აქამდე „ლურჯებს“ ჟაკ სანტინი ხელმძღვანელობდა. იგი თანამდებობაზე 2002 წელს გახლდათ დანიშნული. ევრო 2004-ის წინ სანტინიმ გამოაცხადა, რომ შეჯიბრების დასრულების შემდეგ ლონდონის „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ წავიდოდა, ხოლო საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, მისი შემცვლელის ვინაობა დღეს დასახელდება.

„აქ ყველაფერი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, სანტინის დომენეკი შეცვლის — წერდა გუშინდელი „ეკიპი“, რომელიც, როგორ ჩანს, პარასკევს და შაბათს ფედერაციის გენერალური ასამბლეის სხდომის კართან იყო ჩასაფრებული. არადა, მთელი ფრანგული პრესა ფავორიტებად ბლანს და ტიგანას მიიჩნევენ. თუ გახსოვთ, კიდევ ერთ ფრანგ კანდიდატად მიიჩნეოდა სენეგალის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბრუნო მეტიუ, ხოლო უცხოელთაგან თავისი კანდიდატურა ინგლისელ გლენ ჰოდლს ჰქონდა წამოყენებული.

გეხსომებათ ისიც, რომ ფრანგთა ნაკრების მწვრთნელი ადრეული ვერსიით პარასკევს უნდა დანიშნულიყო, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტმა, კლოდ სიმონემ, აქაოდა, გადაწყვეტილება ნაჩქარევი არ გამომივიდესო და ეს საქმე ორშაბათამდე გადასდო.

„ეკიპი“ ამბობს, რომ დომენეკის მთავარი დამცველი და მხარდამჭერი, არც მეტი, არც ნაკლები, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი ემე ჟაკეა, რომელიც დღეს ფედერაციაში ნაკრებთა საქმეებს კურირებს და პატრონობს, გაზეთის ცნობით, ასამბლეის ხსდომაზე ბოლო 20 წუთი ჟაკეს გამოსვლას დაეთმო, სადაც მან დომენეკის დანიშვნის აუცილებლობა ასაბუთა და ასაბუთა.

რაიმონ დომენეკი ფეხბურთელობისას ორთაბრძოლების მოყვარული ნახევარმცველი გახლდათ. მერე ჯერ „ტულუზს“ და „ლიონს“ წვრთნიდა, ხოლო შემდეგ, 1993 წელს ფედერაციაში მივიდა სამუშაოდ, დომენეკს მაშინვე 21-წლამდელთა ნაკრები ჩააბარეს და პირველები, ვინც მან გუნდში მიიწვია, ზინედინ ზიდანი და კრისტოფ დიუგარი იყვნენ. მის ნაკრებში გაიარეს ტიერი ანრიმ, დავიდ ტრეზეგემ, ლუი საამ, ბრუნო პედრეტიმ.

შაბათს, ასამბლეის სხდომიდან გამოსულმა სიმონემ განაცხადა:

„თითქმის გადაწყვეტილი მაქვს ყველაფერი, მაგრამ მაინც მინდა ერთი დღეც დავფიქრდე, თუ ბოლოწამს რაიმე საგანგებო ფაქტორი არ გამოვარდა, აზრს, ალბათ არ შევიცვლი“.

**პაპუნა კედია**

# ვერ ვაპაჭიე!

## ორტი ბენიტესს ლივერპულს უწუნებს

*ესპანეთის ჩემპიონისა და უეფას თასის მომგებ „ვალენსიას“ პრეზიდენტი, ხაიმე ორტი გუნდის შარშანდელი მიღწევებით, ცხადია, კმაყოფილია, თუმცა ახალი მწვრთნელის, კლაუდიო რანიერის დახმარებით მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგის მოგებას აპირებს. ესპანურ „მარკასთან“ საუბრისას ორტიმ გუნდის ძველ დამრიგებელ რაფაელ ბენიტესს პროფესიონალიზმი შეუქო, მაგრამ „ლივერპულში“ დროზე ადრე გაქცევა არ მოუწონა...*

**— როდესაც „ვალენსია“ ორი სეზონის წინ ესპანეთის ჩემპიონი გახდა, მაშინ თუ იფიქრებდით, რომ დროის ასე მცირე მონაკვეთში გუნდი პრიმერას თაოსნობასაც დაიბრუნებდა და უეფას თასის მფლობელიც გახდებოდა?**

— მაშინ ვთქვი, რომ ჩვენს გუნდს უფრო მეტის მიღწევა შეეძლო, თუმც ამისთვის მკაცრად გამაკრიტიკეს. გამარჯვება შემთხვევით არ მოდის. „ვალენსიამ“ ზუსტად ეს დაადასტურა. შეუძლებელი იყო, ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ გუნდს ერთ სეზონში ქვეყნის ჩემპიონობა მოეგო, ევროთასზე კი უკვალოდ დაკარგულიყო. „ვალენსიას“ დარსტაბილურ გუნდებს ასეთი რამ არ ახასიათებთ.

**— რაფაელ ბენიტესმა კლაუდიო რანიერის დიდი ჯილდოები დაუტოვა. როგორ ფიქრობთ, იტალიელი დამრიგებელი წინა მწვრთნელის შედეგების გაუმჯობესებას მოახერხებს?**

— კლაუდიოს არა მხოლოდ სახელი და ტიტულები ჩააბარეს, არამედ ის გუნდიც, რომელმაც ეს ჯილდოები მოიგო და რომელიც, საბედნიეროდ, შარშანდელთან შედარებით გაძლიერდა — ფიორე და კორადი შეიმატა. ამიტომაც ვთვლი, რომ 2004-05-ის პრიმერადივიზიონსაც მოვიგებთ.

**— ახლა ალბათ ჩემპიონთა ლიგის მოგებასაც გეგმავთ...**

— რატომაც არა. ბუნებრივია, ყოველთვის გინდა გამარჯვება იქ, სადაც აქამდე ხელი მოგეცარა. ჩვენს შემთხვევაში ლიგის ფინალს ვგულისხმობ... კარგი იქნებოდა ახლანდელი ტურნირის მოგება. ამით რაფა ბენიტესის რეკორდს გავაუმჯობესებდით.

**— ბენიტესის მიერ „ვალენსიაში“ გაწეულ სამუშაოს როგორ შეაფასებდით?**

— სისულელე იქნება, კლუბის წინაშე მწვრთნელის უზარმაზარ ღვაწლს თუ ვერ დავინახავთ. ბენიტესმა საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჩაიბარა, საქმეები სწორად წარმართა და დღევანდელ წარმატებებსაც მან და ფეხბურთელებმა ერთობლივად მიაღწიეს.

**— პიროვნულად რას იტყვით მასზე?**

— „მესტალიადან“ მისი ნაადრევი გამგზავრება არ მომეწონა. ეს ნებისმიერი კლუბის პრეზიდენტს არ მოეწონებოდა.

**— ბენიტესთან კონტრაქტის განახლებას მონდომებით შეეცადეთ?**

— ჩვენ მას საკმაოდ კარგი პირობები შევთავაზეთ, მაგრამ რაფამ ინგლისში გადაბარგება არჩია. რაც მოხდა, მოხდა. ამ კონტრაქტში დამნაშავეს ძებნას არ ვაპირებთ, თუმცა მწვრთნელს სატრანსფერო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებანი უნდა შეესრულებინა.

**— მწვრთნელის უეცარი შეცვლით „ვალენსია“ ხომ არ ზარალდება?**

— არა მგონია, ზიანის რა მოგახსენოთ და უსიამოვნო სიურპრიზი კი იყო. ბენიტესის საქციელმა ფეხბურთელები ძლიერ გააკვირვა.

**— „ვალენსია“ სამომავლოდ რომელიმე თავისი ვარსკვლავის გაყიდვას თუ გეგმავს?**

— არა, ძლიერი მოთამაშეები აუცილებლად გუნდში უნდა დარჩნენ.

რაფაელ ბენიტესი „ენფილდზე“ ზის, კლაუდიო რანიერი კი ხაიმე ორტის იმედია



# ჯერ მსოფლიო, მერე სამშობლო

## ერიკსონმა შვედურად ილაპარაკა

ინგლისის ნაკრების შვედი მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი ამბობს, რომ მომავალში იქნებ სამშობლოშიც დაბრუნდეს და ერთ-ერთი იქაური გუნდი გაწვრთნას. ეს, ერიკსონმა შვედურ გაზეთ „აფტონბლადეტს“ უთხრა.

ერიკსონი ამ დღეებში შვედეთის სამხრეთში, ქალაქ ბასტადში სემინარზეა, სადაც ესაუბრა კიდეც რეპორტიორებს. მას ჰკითხეს, ხომ არ ისურვებდა მომავალში შვედეთის ნაკრების გაწვრთნას, რაზეც ასე უპასუხა:

„დიახაც, სიამოვნებით გავწვრთნიდი, ოღონდ მანამდე მინდა საკლუბო ფეხბურთს დავუბრუნდე. დღეისთვის კი ინგლისის ნაკრების სათავეში ყოფნა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ამასთან, შვედეთს ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც დარწმუნებული ვარ, ჯერ ერთხანს იმუშავებს“.

აღვნიშნოთ, რომ აქამდე შვედეთის ნაკრებს ჰყავდა ორი მწვრთნელი, ლარს ლაგერბეკი და ტომი სოდერბერგი, რომელთაგან ერთი, სოდერბერგი ახლახან წავიდა თანამდებობიდან და 21-წლამდელთა გუნდი ჩაიბირა.

ერიკსონის მდიდრული კონტრაქტი ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასთან კი 2008 წლამდეა ძალაში. იგი ამ თანამდებობაზე 2001 წლის თებერვალში დაინიშნა და მას მერე მხოლოდ სამი ოფიციალური თამაში წააგო: 1:2 მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატზე ბრაზილიასთან, 1:2 ევრო 2004-ის პირველ შეხვედრაში საფრანგეთთან და პენალტებით იმავე ევრო 2004-ზე პორტუგალიასთან.

„ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ვემზადები, რის შემდეგაც გერმანიაში მსოფლიოს ჩემპიონობას ვაპირებ“ — დასძინა ერიკსონმა.

**პაპუნა კედია**

# გერმანელი ტურისტი

## რეჰაგელმა ბერძნებს ქალები აუარძალა

*რეჰაგელი მოედნის კიდესთან ცალი თითით რომ უსტვენს, მხოლოდ მაშინ კი არა, სასტუმროშიც ორიგინალურად იქცევა. მაგალითად, ბუქარესტში ამხანაგური მატჩის სათამაშოდ ჩასულ და დაბინავებულ საბერძნეთის ნაკრების ფეხბურთელებს... ქალები კაცებით შეუცვალა. ევროჩემპიონატის ტრიუმფატორის წარმატების საიდუმლოს თავად „მეფე ოტოს" ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ*

**— ზოგიერთები თვლიან, რომ საბერძნეთმა შემთხვევით გაიმარჯვა...**

— არ მესმის მათი, ვინც ასე ფიქრობს. გაიხსენონ, ვინ დავამარცხეთ — ევროპის ჩემპიონი საფრანგეთი, ფავორიტად მონათლული ჩეხეთი და პორტუგალია, რომელსაც ორჯერ მოვუგეთ. ვერავინ იტყვის, რომ ეს მსაჯების თუნდაც მცირედი დახმარებით მოვახერხეთ. შეუძლიათ, ჩვენს ტრიუმფს სენსაციური ან მოულოდნელი უწოდონ, მაგრამ შემთხვევითობაზე უკაცრავად.

**— ისიც თქვეს, რომ თქვენი მეტოქეები გადაღლილნი იყვნენ.**

— ეს ჩემი პრობლემა არაა. უკეთეს ფორმაში მყოფ ფეხბურთელებს რატომ არ ათამაშებდნენ? უნდა მოეგოთ, მაგრამ ვერ შეძლეს — ამის საშუალება ჩვენ არ მივეცით.

**— ექვსი მცველი გყავდათ და არც ერთი გამოკვეთილი ფორვარდი. ამ ხერხით წარმატების მიღწევა რამდენად მისაღებია?**

— რატომაც არა? ჩვენ აკრძალული ილეთებით ხომ არ მოგვიგია ეს ტურნირი? სად წერია, რომ მსგავსი ტაქტიკით თამაში დაუშვებელია? რა თქმა უნდა, სანახაობრივი მხარე დაიჩაგრა, მაგრამ გუნდში ზიდანი, ანრი და რაული რომ მყოლოდა, გაცილებით ლამაზ ფეხბურთს ვაჩვენებდით. მე არჩევანი არ მქონდა და ნაკრები იმ ფეხბურთელებით ავაწყე, რომლებიც ევრო 2004-ზე ნახეთ.

**— ლობანოვსკი ამბობდა, ფეხბურთში ყველაზე ლამაზი ტაბლოზე გამოფენილი ანგარიშიაო, თქვენც ასე ფიქრობთ?**

— ალბათ ყველა მწვრთნელი საბოლოოდ ანგარიშზე ფიქრობს, რადგან ჩვენ ფულს კარგი შედეგისთვის გვიხდიან. სანახაობისთვის პრემია არავისთვის მიუციათ.

**— საშუალო დონის ნაკრები ორწელიწადნახევარში ევროპის ჩემპიონობას აზიარეთ...**

— ბერძენები ახლა მატარებენ ხელისგულზე, თორემ თავიდან ძალიან ბევრი პრობლემა მქონდა. მწვრთნელობა რომ შემომთავაზეს, მოსკოვში ჩავედი, სადაც ელინები რუსებს ამხანაგურად შეხვდნენ და ის მატჩი უგოლოდ დასრულდა. მაშინ შევათვალიერე მოთამაშეები და ვფიქრობდი, ვის გარშემო ამეწყო ნაკრები, რომელიც ევრო 2004-ის შესარჩევ ციკლში ითამაშებდა. შესარჩევი ორი მარცხით დავიწყეთ. ყველაზე რბილი სათაური ბერძნულ გაზეთში ასეთი იყო: „რისთვის ჩამოვიყვანეთ აქ ეს გერმანელი ტურისტი?" სამაგიეროდ, შემდეგ მივაყოლეთ და ზედიზედ ექვსი შეხვედრა მოვიგეთ, ჯგუფში პირველ ადგილზე გავედით.

**— გამოდის, რომ იმ ორი მარცხის მერე ნაკრები შეცვალეთ...**

— ცვლილებებს კონკრეტული სახელი აქვს — დისციპლინა დავამყარე. საბერძნეთი ამ მხრივ ყოველთვის მოიკოჭლებდა. შეიძლება ითქვას, გუნდი გავაგერმანულე. ორ მაგალითს მოგიყვანთ: შეკრების დროს შევამჩნიე, რომ ფეხბურთელები ღამ-ღამობით ბარ-რესტორნებში დაძვრებოდნენ. თან ისინი ამას მალულად აკეთებდნენ, რადგან კლუბებში მიჩვეული იყვნენ. ეს რომ გავიგე, ღამით დროსტარება ავუკრძალე. ნაწილობრივ მათ ინტიმურ ცხოვრებაშიც ჩავერიე. ერთხელ ბუქარესტში ჩავედით რუმინეთთან ამხანაგურად სათამაშოდ. ზოგი ფეხბურთელი სასტუმროს მოსამსახურე ქალს აეკიდა. ადმინისტრატორს ვთხოვე, ქალები კაცებით შეეცვალა. ბიჭებმა იწრიალეს და ბოლოს დამშვიდნენ. მთელი ყურადღება მატჩზე გადაიტანეს და ის შეხვედრა მოვიგეთ.

**— გამოდის, რომ წარმატების მისაღწევად ბევრი არასაფეხბურთო წვრილმანი პრობლემებიც მოგიწესრიგებიათ.**

— თუ შეიძლება, ამას წვრილმანი ვუწოდოთ ... კიდევ ერთი რამ გამახსენდა. 2003 წლის ოქტომბერში საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციას გთხოვეს, ჩემპიონატის კალენდარი გაეწყვა. რეალურად 2004-ის დაწყებამდე ერთი თვით ადრე დასრულებულიყო. ჯალენდრის პირველი ვარიანტით ჩემპიონატი 2 მაისს მთავრდებოდა და პორტუგალიამდე 40 დღე რჩებოდა. ჩემი თხოვნა გაითვალისწინეს და 16 მაისამდე გადაწიეს. ამით ფეხბურთელებს სათამაშო პრაქტიკა შევუნარჩუნე და ევრო 2004-ს კარგ ფორმაში შეხვდნენ.

**— ცნობილია, რომ ბერძნული არ გისწავლიათ, როგორ ახერხებთ ფეხბურთელებთან ურთიერთობას?**

— თარჯიმანი მყავს — იოანის ტოპალიდისი. ის წარმოშობით ბერძენია. გერმანიაში ცხოვრობდა და მწვრთნელობდა. პროფესიონალი მთარგმნელი არა არის, მაგრამ ფეხბურთი ფრიადზე იცის. ამ მხრივ უნივერსალური თანაშემწე შევიძინე. მოთამაშეებს ყველაფერს გასაგებად უხსნის.

**— ნეკა თითით სტვენა როდის დაიწყეთ?**

— ბავშვობიდან ნაომარ გერმანიაში მტრედების მოშენება იყო მოდაში და მაშინ ვისწავლე. როგორც ხედავთ. გამომადგა.

**— ევრო 2004-ის ორგანიზატორებს კარის ბადის ფერი დაუწუნეთ...**

— მე გულშემატკივრების ინტერესებს ვიცავდი. ისინი პორტუგალიაში გოლების სანახვად ჩავიდნენ. თეთრ ბადეში ყველაფერი კარგად ჩანს და ეს შავი ფერის ბადე არ უბედურებაა? უფრო მახინჯი არაფერი მინახავს. ევროპის ჩემპიონატზე ექსპერიმენტების დრო არ არის. ზეიმზე ჩასულ ქომაგებს პატივისცემა სჭირდებათ.

# დაფიქრდა და გაიხსენა 1998 წელი

## ვიქტორიამ დევიდი ფეხბურთიდან არ გაუშვა



**დევიდ ბექემს** ცოლმა არ მისცა... ფეხბურთიდან წასვლის უფლება. ევროპის ჩემპიონატის დასრულებიდან ერთი კვირის თავზე ცნობილი გახდა დევიდ ბექემისა და ვიქტორიას საუბრის შინაარსი, რომელიც პორტუგალიასთან მატჩში აცილებული პენალტის შემდეგ შედგა.

„რეალის" ლეგიონერმა ჯერ საფრანგეთთან შეხვედრაში გააცუდა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო, მერე კი მეოთხედფინალში მასპინძლებთან.

ბექემს ნერვებმა უღალატა და ცოილსთვის გული გაუხსნია: „მე ფეხბურთს თავს ვანებებ. დავმთავრდი".

როგორც ჩანს, ის ნაღდად აპირებდა ბუცების გადაყრას, მაგრამ ვიქტორიამ დათრგუნულ ქმარს მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატი გაახსენა, როცა ბექემი არგენტინასთან მატჩში დიეგო სიმეონეს პროვოკაციას აჰყვა და გააძევეს. „შენს კარიერაში უარესიც მომხდარა, მაგრამ გადაგიტანია. ინგლისის ნაკრების კაპიტანი ხარ და ამით ვამაყობ" — უთქვამს ვიქტორიას და დევიდი ამ ქვეყნისკენ მოუბრუნებია.

**ვაჟა ხუციშვილი**



# მეც მინდა!

## ჰუნიმ ჯვარი დაინახა

ინგლისის ნაკრების ვარსკვლავებიჭუნა უეინ რუნიმ დევიდ ბექემს მიბაძა და მარჯვენა მკლავი მოისვირინგა.

ევერტონელმა ყმაწვილკაცმა მკლავზე, რომელზეც საცოლე კოლინის სახელი ეწერა, კელტური ჯვარი დაახატინა.

დევიდ ბექემმა პორტუგალიაში წასვლამდე ტანზე კიდევ ერთი, ამჯერად მეცხრე სვირინგი, კისერზე დაიმატა. ინგლისელთა კაპიტნის თქმით, ცხრავე თილისმაა, რომლებიც მის ოჯახს ავი თვალისგან იცავს, ხოლო რუნის კელტური ჯვრის დანიშნულება უცნობია.

მხატვარი დუეინ მაკგინესი გაოცდა, როცა თავისი სახელოსნოს კარი გააღო და უეინ რუნი, ქვეყნის გმირი დაინახა. ევერტონელ ფეხბურთელს ოსტატმა ხელობაში ოდენ 240 გირვანქა გამოართვა, მაგრამ სამაგიეროდ, ეს კარგი რეკლამა გამოდგა მისი სალონისთვის, რომელსაც „ევერტონის" ფანები მიაწყდნენ. მათაც კელტური ჯვრის დახატვა მოისურვეს და მაკგინესს ახლა რიგი დაუდგა.

# უილბლო ჯენტლმენები
## ზენიტმა ჰეროვზე გაისეირნა

### რუსეთი
**პრემიერლიგა. XVI ტური**

**ლოკომოტივი 1:0 კრილია**
1:0 ხოხლოვი (79)
**ლოკომოტივი:** ოვიჩინიკოვი, გურენკო (ჩესნაუსკისი 73), პაშინინი, ნიჟეგოროდოვი, სენიკოვი, ევსეევი, ბილიალეტდინოვი, ხოხლოვი, ლოსკოვი, სიჩოვი, პარკსი (აშვეთია 61)
**მწვრთნელი:** იური სიომინი

**როსტოვი 2:0 დინამო**
1:0 ალხაზოვი (77), 2:0 ასლანიდი (90)
**დინამო:** ბერეზოვსკი, ჰანეკი, ხიზანეიშვილი, ბატაკი, ტანასიევიჩი,ჰაშეკი, იაშინი, პოლოვინჩუკი (დიატელი 84), ზბონჩაკი, ვლჩეკი (მიხაილოვი 79), მურიგინი (დე სოუზა 52)
**მწვრთნელი:** იაროსლავ გეუბიკი

**ყუბანი 1:3 ზენიტი**
0:1 არშავინი (43), 0:2 დენისოვი (53), 1:2 ვუკა (55), 1:3 სპივაკი (65პ)

**ცსკა 3:0 ამკარი**
1:0, 2:0 ურკოვი (35, 62), 3:0 იაროშიკი (65)

**როტორი 0:1 ტორპედო**
0:1 ოსიპოვი (22)

**მოსკოვი 1:0 რუბინი**
1:0 ბუდუნოვი (73)

**ალანია — სპარტაკი**
*გადაიდო*

**სატურნი — შინიკი**
*გადაიდო*

ზედიზედ სამჯერ მოგების შემდეგ „კრილია სოვეტოვი“ მოსკოვში „ლოკომოტივთან“ დამარცხდა. სამარელებისთვის ეს პირველი მატჩი გამოდგა სეზონში, რომელშიც გოლი ვერ გაიტანეს. „ლოკომოტივის“ მეკარე სერგეი ოვჩინიკოვმა კი მე-100 შეხვედრა ჩაატარა უგოლოდ.

სამარელმა ანდრეი კარიაკამ (№5) მარცხი ვერ აიტანა

მოსაწყენ თამაშში ერთადერთი გოლი ხოხლოვმა თავით, ლოსკოვის გრძელი პასის წყალობით შეაგდო. მასპინძელთა ნახევარმცველი ბურთს შორეულ ძელთან ჩაუსაფრდა, მცველზე მაღლა ახტა და მეკარე პოლიაკოვსაც ავჯობა.

ამის შემდეგ სიჩოვს ჰქონდა ერთი ხელსაყრელი მომენტი. მეურვე ჩამოიცილა, დაარტყა კიდეც, მაგრამ პოლიაკოვმა ფეხით აუღო.

„როსტოვმა“ მიჯრით მესამე საშინაო შეხვედრაში იმარჯვა. დონისპირელთა მწვრთნელმა სერგეი ბალახნინმა მეორე ტაიმში გამოყენებული ორი ცვლილებით მოსკოვის „დინამო“ დააჩოქა.

მოედანზე შესვლიდან ოც წუთში ალექსანდრ ალხაზოვმა მეკარე ბერეზოვსკის მოგერიებულ ბურთს დაამატა და ანგარიში გახსნა.

ამის შემდეგ მოსკოველ იაშინს ჰქონდა გასათანაბრებლად კარგი მომენტი — ახლოდან ვერ გაიტანა, ხოლო გეორგი ასლანიდიმ შეხვედრის მიწურულს ერთი მცველი გააბითურა და ბერეზოვსკის მეორე გაუტანა.

მოსკოვის „დინამოს“ ჩეხ მწვრთნელ იაროსლავ გეუბიკს გაზაფხულიდან წყალი აქვს შემდგარი, მაგრამ გუნდიდან წასვლას მაინც არ ჩქარობს.

ჩეხის თქმით, „დინამო“ პირველ წრეში, ვლადიკავკაზში „ალანიასთან“ 2:4 წაგებული მატჩის შემდეგ ფსიქოლოგიურად გატყდა, რადგან იმ შეხვედრას მოსკოველები 2:0-ს იგებდნენ. იგივე განმეორდა გასულ ოთხშაბათს, როცა გეუბიკის გუნდი „ლოკომოტივს“ 2:0 უგებდა, ბოლოს კი 2:4 დამარცხდა.

„ზენიტმა“ კრასნოდარში „ყუბანს“ სძლია. პირველი ტაიმის მიწურულს ანგარიში არშავინმა გახსნა — მან მეკარე პეროვის მოგერიებულ ბურთს ახლოდან დაამატა.

დამხვდურებს უმალვე შეეძლო გათანაბრება, მაგრამ ხორვატმა ლეგიონერმა ვუკამ სამიოდ მეტრიდან მომენტი გააცუდა.

მეორე ნახევრის დასაწყისში „ზენიტმა“ კიდევ ერთი გაიტანა, თუმცა ეს ეპიზოდი სადავო გახდა. აუტიდან თამაშში შეტანილი ბურთი სპივაკმა დენისოვს მიაწოდა, რომელმაც ზუსტად დაარტყა — პეროვი არც განძრეულა. აღმოჩნდა, რომ კრასნოდარელებმა მეტოქის წაქცეული ფეხბურთელი დაინახეს და ბურთი აუტში გადააგდეს, მაგრამ სტუმრებმა ჯენტლმენობაზე ხელი აიღეს, შეტევა წამოიწყეს და პეროვიც ამიტომ არ განძრეულა, იფიქრა, მსაჯი თამაშს გააჩერებსო.

„ყუბანმა“ ერთი მალე გაქვითა და გოლი ამჯერად ზენიტელმა მეკარემ გააპროტესტა — ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთიაო. მივარდა არბიტრს, თუმც გვერდითმა ალმიანმა გოლი ჩათვალა.

პეტერბურგელმა სპივაკმა ამ ეპიზოდიდან ათიოდ წუთში პენალტით მესამედ დაამწუხრა მასპინძლები და „ყუბანი“ საბოლოოდ გატეხა.

პეტერბურგელთა ლიდერობა მხოლოდ ერთი დღე გაგრძელდა, რადგან გუშინ მოსკოვის „ტორპედომ“ უსუსტესი „როტორი“ სტუმრად დაამარცხდა და კვლავ პირველ ადგილზე წამოსკუპდა. ახალი მწვრთნელის, ვიტალი შევჩენკოს ხელქვეითი „როტორმა“ მეორე მატჩიც წააგო.

„მოსკოვმა“ შეცვლაზე შესული ბედუნ ბუდუნოვის გოლის წყალობით სეზონში მეოთხე შეხვედრა მოიგო და ცხრილში ოთხი საფეხურით აინაცვლა, ხოლო ცსკამ პერმის „ამკარს“ იოლად სძლია. ანგარიში ჟირკოვმა პირველ ტაიმში გახსნა. ბურთი საჯარიმოს ხაზთან მიიღო და ისე ძლიერად დაჰკრა, რომ სტეპანოვს შანსი არ დაუტოვა.

მეორე ნახევარში არმიელებს ორი წუთი დასჭირდათ მეტოქის მოსახრჩობად. კვლავ ჟირკოვმა იხეირა და მეორე გაუტანა პერმელებს, ხოლო მესამე ჩეხმა იაროშიკმა შეაგდო.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 16 | 10 | 4 | 2 | 31:14 | 34 |
| ზენიტი | 16 | 10 | 3 | 3 | 32:21 | 33 |
| ლოკომოტივი | 15 | 8 | 4 | 3 | 21:11 | 28 |
| კრილია | 16 | 8 | 4 | 4 | 27:25 | 28 |
| ცსკა | 16 | 7 | 7 | 2 | 27:15 | 28 |
| სატურნი | 15 | 4 | 8 | 3 | 17:14 | 20 |
| ალანია | 15 | 5 | 4 | 6 | 16:19 | 19 |
| როსტოვი | 16 | 5 | 4 | 7 | 19:23 | 19 |
| რუბინი | 16 | 4 | 7 | 5 | 17:16 | 19 |
| ამკარი | 16 | 4 | 7 | 5 | 12:20 | 19 |
| მოსკოვი | 15 | 4 | 5 | 6 | 16:18 | 17 |
| შინიკი | 14 | 4 | 5 | 5 | 9:13 | 17 |
| დინამო | 16 | 3 | 7 | 6 | 16:19 | 16 |
| სპარტაკი | 14 | 4 | 3 | 7 | 22:26 | 15 |
| ყუბანი | 16 | 2 | 7 | 7 | 14:23 | 13 |
| როტორი | 16 | 1 | 3 | 12 | 15:34 | 6 |


**რეკლამა სარბიელ-ში**
**Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80**


## ინტერტოტოს თასი 2004
**მეორე ეტაპი. საპასუხო მატჩები**

| | | |
|---|---|---|
| *შინიკი (რუსეთი)* | 2:0 | ტელავი (ჩუხეთი) (2:1) |
| *ლიბერეცი (ჩეხეთი)* | 5:0 | დუბნიცა (სლოვაკეთი) (2:1) |
| *ზლინი (ჩეხეთი)* | 3:0 | ვესტერლო (ბელგია) (0:0) |
| *ვეტრა (ლიტვა)* | 1:0 | ჰიბერნიანი (შოტლანდია) (1:1) |
| კამენი (ხორვატია) | 0:1 | *სპარტაკი (რუსეთი)* (1:4) |
| სლობოდა (ბოსნია) | 0:1 | *ტრნავა (სლოვაკეთი)* (1:2) |
| დინაბურგი (ლატვია) | 0:2 | *ოფკ (სერბეთი)* (1:3) |
| მარეკი (ბულგარეთი) | 0:0 | *გენკი (ბელგია)* (1:2) |
| ხაზარი (აზერბაიჯანი) | 1:0 | *ტამპერე (ფინეთი)* (0:3) |
| გენტი (ბელგია) | 1:0 | დ.დ.(პენ.3:4, 1:0) *ვარდარი (მაკედონია)* (0:1) |
| *ვილიარეალი (ესპანეთი)* | 2:0 | ოდენსე (დანია) (3:0) |
| *თუნი (შვეიცარია)* | 4:1 | ვოლფსბურგი (გერმანია) (3:2) |
| ნიცა (საფრანგეთი) | 1:1 | *ესბიერგი (დანია)* (0:1) |
| ვლაჭნია (ალბანეთი) | 1:0 | *სლავენი (ხორვატია)* (0:2) |
| *კორკ სიტი (ირლანდია)* | 1:0 | ნაიმეგენი (ჰოლანდია) (0:0) |
| სარტიდი (სერბეთი) | 1:3 | დ.დ. (1:2) *დინამო (ბელარუსი)* (2:1) |

### ავსტრია
**სუპერთასის ფინალი**
**გრაცერი 1:1 დ.დ.(პენ.2:4, 1:1) აუსტრია**
1:0 კოლმანი (9), 1:1 პოგატეცი (54ს.კ.)

### ირლანდია
**პრემიერლიგა. XX ტური**
დერი სიტი — შელბურნი 0:0; დუბლინი — ლონგფორდი 2:1; ბოჰემიანსი — უოტერფორდი 2:2; დროჰედა — სენტ პატრიკსი 0:2. *შემროკი — კორკ სიტი გადაიდო*

### აშშ
**MLS. XIV ტური**
ნიუ იორკი — სან ხოსე 2:0; დალასი — კოლამბუსი 0:0; კანზასი — ვაშინგტონი 1:0; ლოს ანჯელესი — კოლორადო 2:0. *ჩიკაგო — ნიუ ინგლენდი წუხელ გვიან გაიმართა*

### ისლანდია
**პრემიერლიგიზიონი. X ტური**
ვესტმანაეიარი — აკრანესი 0:1; რეიკიავიკი — ფილკირი 1:1. *ჰაფნარფიორდური — აკურეირი (იხ. მე-2 გვერდზე)*

### შვედეთი
**სუპერლიტა. XIV ტური**
კაფე ოპერა — ბრაგე 1:1; ფრისკა — ნორჩიოპინგი 5:2; ფრიოლუნდა — ასირისკა 2:1; ჰეკენი — ბრომაპოიკარნა 2:0

### ნორვეგია
**I დივიზიონი. XVI ტური**
ჰაუგესუნდი — ალესუნდი 0:1; ჰიოდი — სანდეფიორდი 0:3; მანდალი — ბრინი 0:3; ჰორს გრენლანდი — სტარტი 1:1; რაუფოსი — მოსი 3:0; სკეიდი — კონგსვინგერი 3:1; სტრიომსგოდსეტი — ჰიონეფოსი 1:0; ტრომსდალენი — ვარდ ჰაუგესუნდი 2:3

### უკრაინა
**სუპერთასის ფინალი**
**დინამო 1:1 დ.დ.(პენ.6:5, 1:1) შახტარი**
1:0 ო. გუსევი (23), 1:1 ლევანდოვსკი (75)

### ბრაზილია
**სერია A. XIV ტური**
ფიგეირენსე — კრისიუმა 2:0; ინტერნასიონალი — გრემიო 2:0; ფლამენგო — ვასკუ და გამა 0:1; ფლუმინენსე — სან კაეტანო 1:0; ვიტორია — ბოტაფოგო 1:0; გოიასი — პაისანდუ 3:2; პონტე პრეტა — გუარანი 3:1; ატლ. მინეირო — კრუზეირო 2:0; სანტოსი — სან პაულუ 2:1; ატლ. პარანენსე — პალმეირასი 0:0; კორინთიანსი — პარანა 1:0; ჟუვენტუდე — კურიტიბა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პალმეირასი | 14 | 7 | 5 | 2 | 27:11 | 26 |
| ფიგეირენსე | 14 | 7 | 5 | 2 | 21:11 | 26 |
| სანტოსი | 14 | 8 | 1 | 5 | 27:22 | 25 |
| სან პაულუ | 14 | 7 | 3 | 4 | 20:16 | 24 |
| გოიასი | 14 | 6 | 5 | 3 | 27:21 | 23 |
| ინტერნასიონალი | 14 | 7 | 2 | 5 | 18:17 | 23 |
| პონტე პრეტა | 14 | 7 | 2 | 5 | 13:16 | 23 |
| ატლ. პარანენსე | 14 | 6 | 3 | 5 | 19:14 | 21 |
| ფლუმინენსე | 14 | 5 | 6 | 3 | 17:17 | 21 |
| კრუზეირო | 14 | 6 | 3 | 5 | 17:19 | 21 |
| ვიტორია | 14 | 6 | 2 | 6 | 26:20 | 20 |
| ვასკუ და გამა | 14 | 5 | 5 | 4 | 21:15 | 20 |
| სან კაეტანო | 14 | 5 | 4 | 5 | 18:14 | 19 |
| კრისიუმა | 14 | 5 | 4 | 5 | 20:21 | 19 |
| ჟუვენტუდე | 14 | 5 | 3 | 6 | 16:18 | 18 |
| ატლ. მინეირო | 14 | 3 | 7 | 4 | 17:19 | 16 |
| პარანა | 14 | 4 | 4 | 6 | 14:22 | 16 |
| კორინთიანსი | 14 | 4 | 4 | 6 | 15:27 | 16 |
| კურიტიბა | 14 | 3 | 6 | 5 | 12:13 | 15 |
| გრემიო | 14 | 3 | 6 | 5 | 19:22 | 15 |
| გუარანი | 14 | 3 | 4 | 7 | 11:18 | 13 |
| ფლამენგო | 14 | 2 | 6 | 6 | 16:21 | 12 |
| ბოტაფოგო | 14 | 2 | 6 | 6 | 19:26 | 12 |
| პაისანდუ | 14 | 2 | 4 | 8 | 17:27 | 10 |

### ამხანაგური მატჩები
**იაპონია 3:1 სლოვაკეთი**
1:0 ფუკუნიში (45), 2:0 სუძუკი (65), 2:1 ბაბნიკი (66), 3:1 იანაგისავა (81)

**სამხრეთ კორეა 2:0 ბაჰრეინი**
1:0 დ. ლი (2), 2:0 ჯ. ჩოი (41)

**სლოვაკეთი 0:2 სერბეთი**
0:1 ს. მილოშევიჩი (6), 0:2 იესტროვიჩი (90)

REUTERS ოდესიდან
უკრაინის სუპერთასი კიევის „დინამომ“ ასწია

# სარბიელი: კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შვედეთი. ალსვენსკა. XI ტური** | | | | | | |
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 21.00 | 163 | კალმარი-ლანდსკრონა | 1,9 | 3,2 | 3,6 | 1,19 | 1,24 | 1,69 |
| 21.00 | 164 | ჰელსინგბორგი-იორებრო | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ**

## ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ტურნირი

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ივლისი** | | | | | | |
| 02.30 | 013 | ვენესუელა-ბოლივია | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 04.45 | 014 | პერუ-კოლუმბია | 2,1 | 2,9 | 3,5 | 1,21 | 1,31 | 1,58 |
| | | **13 ივლისი** | | | | | | |
| 02.30 | 015 | მექსიკა-ეკვადორი | 1,6 | 3,4 | 4,8 | | | |
| 04.45 | 016 | არგენტინა-ურუგვაი | 1,55 | 3,4 | 5,3 | | | |

### I ტაიმის შედეგი

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **12 ივლისი** | | | | | | |
| 5013 | ვენესუელა-ბოლივია | 3,2 | 2,05 | 3,0 | 1,24 | 1,54 | 1,21 |
| 5014 | პერუ-კოლუმბია | 2.5 | 2.05 | 3.8 | 22,28 | 15,07 | 32,05 |
| | **13 ივლისი** | | | | | | |
| 5015 | მექსიკა-ეკვადორი | 1,9 | 2,3 | 5,3 | | | |
| 5016 | არგენტინა-ურუგვაი | 1,8 | 2,3 | 6,0 | | | |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | | კი | | არა |
|---|---|---|---|---|---|
| | | **12 ივლისი** | | | |
| 5313 | ვენესუელა-ბოლივია | | 1,65 | | 1,95 |
| 5314 | პერუ-კოლუმბია | | 1,65 | | 1,95 |
| | | **13 ივლისი** | | | |
| 5315 | მექსიკა-ეკვადორი | | 1,65 | | 1,95 |
| 5316 | არგენტინა-ურუგვაი | | 1,6 | | 2,0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | **12 ივლისი** | | | | | | | | | |
| 5113 | ვენესუელა-ბოლივია | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,6 |
| 5114 | პერუ-კოლუმბია | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| | **13 ივლისი** | | | | | | | | | |
| 5115 | მექსიკა-ეკვადორი | 2,2 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,8 | 8,5 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5116 | არგენტინა-ურუგვაი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,8 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსწორი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **12 ივლისი** | | |
| 5413 | ვენესუელა-ბოლივია | 1.9 | 1,9 |
| 5414 | პერუ-კოლუმბია | 1,75 | 2,1 |
| | **13 ივლისი** | | |
| 5415 | მექსიკა-ეკვადორი | 1,4 | 3,0 |
| 5416 | არგენტინა-ურუგვაი | 1,4 | 3,0 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| | **12 ივლისი** | | |
| 5213 | ვენესუელა-ბოლივია | 1,65 | 1,95 |
| 5214 | პერუ-კოლუმბია | 1,6 | 2,0 |
| | **13 ივლისი** | | |
| 5215 | მექსიკა-ეკვადორი | 1,75 | 1,85 |
| 5216 | არგენტინა-ურუგვაი | 1,75 | 1,85 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| | **12 ივლისი** | | | |
| 5513 | ვენესუელა-ბოლივია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | პერუ-კოლუმბია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | **13 ივლისი** | | | |
| 5515 | მექსიკა-ეკვადორი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | არგენტინა-ურუგვაი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

CROCO BOOKMAKERS

**კროკო**

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

### კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | აღმაშენებლის გამზირი №70 | |
| | გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „აექტორ გოცირიძესთან" (ყოფილ „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | ნერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრინის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| | ისანი -კახეთის გზატკეცილი | ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია |
| | ნერეთლის გამზირი №141 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| ხელვაჩაური | აღმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |


**სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

CROCO BOOKMAKERS

**კროკო**

**ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით**

CROCO BOOKMAKERS

**ტელკრედიტი TELCREDITI**

10 42 00 24 +%

# ხუთიანი ხუთს!

## დრო ისეთი, რუსი გველის

*როცა დამარცხებული წარუმატებლობას ტრავმებს აბრალებს, თავს კი უქნევ, მაგრამ, გინდა, არ გინდა, ფიქრობ, წააგო და ახლა თავს იმართლებსო. ქართველ ჭაბუკებს თავის გასამართლებელი არაფერი სჭირთ, გუშინ ევროპის ჩემპიონატზე ლატვიელები დაამარცხეს, მაგრამ ტურნირის საწყის ორ მატჩში წაგება რომ ტრავმებს დააბრალონ, ვერაფრით შეედავები.*

*თავად განსაჯეთ — ლაშა გამყრელიძე და გიორგი ხურცია ახლაც საავადმყოფოში წვანან, ხოლო ვიქტორ სანიკიძეს, რევაზ ათანელიშვილსა და დავით საყვარელიძეს სხვადასხვა მიზეზით მოუხდათ ვის მეორე და ვის მესამე მატჩების გამოტოვება. ლატვიელები კი საერთოდ 5 კაცით დაამარცხეს — ერთადერთმა შემცვლელმა ნოდარ ბექაურმა მთლიანობაში 5 წუთი გაატარა მოედანზე.*

*გუშინ სარაგოსაში ჩვენი ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს ვიქტორ სანიკიძეს დავუკავშირდით...*

— ისეთი დაღლილი ვარ, ფეხზე ვერ ვდგავარ, კიდევ კარგი, ხვალ ვისვენებთ, თორემ არ ვიცი, გავიდოდი თუ არა მოედანზე.

**— კი მაგრამ, ასე რამ მოგქანცა?**

— ლატვიელებს ხუთი კაცით ვეთამაშეთ, მაგრამ მაინც ბოლომდე ვიომეთ და უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოვიპოვეთ.

**— ხუთი კაცით რატომ, მწვრთნელმა თამაზ ოქრუაშვილმა თქვა, შანსს ყველას მივცმო...**

— როცა თამაშის თავი არა აქვს, გინდა შანსი მიეცი და გინდა ძალით შეუშვი მოედანზე, მაინც ვერაფერს გახდება. ორი ისეთი მოთამაშე გვყავდა განაცხადში, საავადმყოფოში რომ იწვნენ. ორსაც, დავით საყვარელიძეს და რევაზ ათანელიშვილს, მაღალი ტემპერატურა ჰქონდა და მოედანზე არ გამოსულა.

**— რა ხდება, რამ დააავადა ასე ერთბაშად ყველა?**

— ლაშა გამყრელიძეს და გიორგი ხურციას მაღალი ტემპერატურა და გულის რევა ჰქონდათ და საავადმყოფოში დააწვინეს. გადასხმები უკვე გაუკეთეს, საშიში არაფერია, ნახევარი გუნდი მწვრთნელიანად ახლა საავადმყოფოშია მათ მოსანახულებლად. არ ვიცი, რა დაემართათ, ყველა გაკვირვებულია.

**— წინა მატჩი იტალიასთან არც შენ გითამაშია...**

— მე, კიდევ კარგი, სიცხე და გულის რევა არ მაქვს, ფეხის ძველმა ტრავმამ შემახსენა თავი და იტალიელებთან ვერ ვითამაშე.

**— ის მატჩი 7 ქულით წააგეთ. მოგების შანსი არ გქონდათ?**

— იტალელებმა თავიდანვე ჩამოგვიტოვეს და მთელი თამაში კატაკვობანა იყო — ვეწეოდით და თან ვერ ვეწეოდით. არა, რეალური შანსი არ გვქონია, იტალიელებმა ალალ ბრძოლაში გვაჯობეს.

**— მომდევნო მატჩი ლატვიელებთან რომ წაგეგოთ, ფაქტობრივად, ჯგუფიდან ვერ გადიოდით, მაგრამ ხუთმა ითამაშეთ და მაინც მოიგეთ. რა იყო ის, რამაც გაგამარჯვებინათ?**

— მთავარი, რა თქმა უნდა, ჩვენი მონდომება და შეუპოვრობა იყო, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაფერი ლოგიკას დაემორჩილა. ჩვენი გუნდი ლატვიელებზე ძლიერია — ამიტომ უნდა მოგვეგო და მოვიგეთ კიდეც.

**— საიდან ამხელა თავდაჯერება?**

— სატრაბახო არაფერი გვაქვს, ჩვენ ნაღდად არ გვყავს ცუდი გუნდი. ტრავმებმა გაგვტანჯა, თორემ ჯგუფიდან გასვლაც თავისუფლად შეგვიძლია და ფინალამდე მისვლაც.

**— ხალხი კი მოგაკლდათ, მაგრამ ჯგუფიდან გასვლაზე მაინც ხომ ფიქრობთ?**

— ვფიქრობთ რომელია, მხოლოდ ჯგუფიდან გასვლა გვსურს. დღეს იტალიას მოულოდნელად რუსეთთან რომ არ წაეგო, ცალი ფეხით გასული ვიქნებოდით ჯგუფიდან. რუსეთი 3 წაგებით ფაქტობრივად ჯგუფში ჩარჩებოდა. ახლა კი შანსი გაუჩნდათ. მომდევნო მატჩში ჩვენ გვხვდებიან.

**— ლატვიელებთან მოგებაზე უფრო კონკრეტულად რას იტყვი? ანგარიშიდან ჩანს, რომ დაძაბული მატჩი იყო...**

— მართლაც ძალიან დაძაბული მატჩი გამოვიდა, განსაკუთრებით ბოლო წუთები, როცა ლატვიელებმა ანგარიში გაგვითანაბრეს. თავიდან კი არაფერი გვქონდა სანერვიულო, 12-ქულიანი უპირატესობა პირველივე მეოთხედში მოვიპოვეთ და არხეინად ვიყავით.

**— ჰოდა, მაგ არხეინობაში კინაღამ წააგეთ...**

— როგორი მონდომებულებიც უნდა ვყოფილიყავით, ბოლოში მაინც დავიღლებოდით. ჩვენი ხუთეულის შემცვლელი მხოლოდ ნოდარ ბექაური იყო, რომელმაც თითო წუთით შეგვასვენა მე, ლეჟავა, მარკოიშვილი და ჯანეზაშვილი, ცინცაძე კი ერთი წამითაც არ გასულა მოედნიდან. ჰოდა, ბოლოს ისე დავიღალეთ, სირბილის თავი აღარ გვქონდა, მაგრამ გამარჯვება მაინც კბილებით შევინარჩუნეთ.

**— ბოლო წუთზე რა ხდებოდა?**

— სწორედ ბოლო წუთი დაიწყო, ლატვიელებმა რომ ჩაგვიგდეს და ანგარიში 73:73 გახდა. არაქათი ყველას გამოგვეცალა, კომბინაციის გათამაშების თავი სად გვქონდა. ყველაფერი ინდივიდუალურ თამაშს უნდა გადაეწყვიტა და სწორედ ამ დროს მანუჩარ მარკოიშვილმა უმნიშვნელოვანესი ორქულიანი ჩააგდო. მერე დაცვაშიც ვიყოჩაღეთ, გიორგი ცინცაძემ გამარჯვების ჯარიმები ჩააგდო. ჩვენი მოგება ყველაზე ძალიან რუსებს გაუხარდათ, მაგრამ არა იმიტომ, რომ გვგულშემატკივრობდნენ — თავიანთი დარდი აქვთ, რაკი ლატვიასთან წააგეს, ახლა ჩვენი მოგებით უნდათ რთული სიტუაციიდან თავის დაძვრენა. ვნახოთ, რუსებთან მაგარი თამაში იქნება.

**ირაკლი პერტაია**



| ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატი<br>სარაგოსა. ესპანეთი<br>9-17 ივლისი | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 10 ივლისი | | | | | |
| **საქართველო 83:90 იტალია** | | | | | |
| 11 ივლისი | | | | | |
| **საქართველო 77:75 ლატვია** | | | | | |
| საფრანგეთი | 3 | 3 | 0 | 251:196 | 6 |
| იტალია | 3 | 2 | 1 | 271:268 | 5 |
| რუსეთი | 3 | 1 | 2 | 273:265 | 4 |
| სერბეთი | 3 | 1 | 2 | 251:257 | 4 |
| ლატვია | 3 | 1 | 2 | 231:243 | 4 |
| საქართველო | 3 | 1 | 2 | 224:272 | 4 |




# ნაბოძრეები

## შაჯი მაიამიში მიიჯარება

*ორიოდ წლის წინ ნბა-ში უმძლავრესი, ახლახან ჯი „დეტროიტისგან" გაბითურებული „ლეიკერსი" სულს ლაფავს. იმ სამი ბოძიდან, რომელზეც გუნდის ძლევამოსილება იყო დამყარებული, „ლეიკერსს" ერთი უკვე გამოეცალა და ისე ჩანს, სეზონის დაწყებამდე დანარჩენი ორიც იპოვის თავის გზას*

მაშ ასე, გრძნეული მწვრთნელი ფილ ჯეკსონი წავიდა, კობი ბრაიანტი თავისუფალი აგენტია და ალბათ სხვა კლუბი უკეთეს კონტრაქტს შესთავაზებს, ხოლო მესამე ბურჯ შაკილ ონილს ლოსანჯელესელებთან ხელშეკრულება კი აკავშირებს, მაგრამ უახლოეს დღეებში ის ალბათ „მაიამის" მაისურას მოირგებს.

ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა „ლეიკერსმა" სამარცხვინოდ წააგო ფინალი „დეტროიტ პისტონზთან". შერცხვენილმა შაკილმა ლეიკერსელებს უთხრა, არ მაინტერესებს, რამდენწლიანი კონტრაქტი დამრჩა, მივდივარ და არ დამაკავოთო. რას დააკავებდნენ — და გაჩაღდა მთაკაცზე ნადირობა. ისაო, ესაო, „მინესოტაო", „ინდიანაო", მაგრამ ყველას „მაიამიმ" აჯობა და შაკილს თავისი მაისურა ცალ ბეჭზე უკვე მოარგო.

„ონილს ძალიან გაუხარდება, „მაიამიში" თუ გადავა, ჩვენ ეს ტრანსფერი სერიოზულად გვაინტერესებს — თქვა შაკილის აგენტმა პერი როჯერსმა — ყველაფერი იქით მიდის, რომ შაკი „მაიამიში" გადავა და თუ ეს ასე არ მოხდა, ძალიან იმედგაცრუებული დავრჩები."

სავარაუდო სუპერტრანსფერი ასეთია — შაკილი „მაიამის", ხოლო ამ გუნდის ბურჯი ომარ ოდომი, ბრაიან გრანტი და კერონ ბატლერი „ლეიკერსს".

ონილის „ლეიკერსთან" ახლანდელი კონტრაქტი 2,5 წლიანი და 59-მილიონიანია. გუნდები არ აპირებენ ძველის გაწყვეტასა და ახალი კონტრაქტის გაფორმებას, ონილს „მაიამიში" ლეიკერსული კონტრაქტი მიჰყვება.

საერთოდ, ასეთი ზორბა კონტრაქტები საიდუმლოდ კეთდება და მხარეთა მიერ მაშინღა ცხადდება, როცა ყველაფერი ნოტარიუსთან დამოწმდება. ამდენი რომ უცადონ, ამერიკელ ჟურნალისტებს სულსწრაფობა მოულებთ ბოლოს და რაც ზემოთ წაიკითხეთ, მათი მარიფათისა და პროფესიონალიზმის ნაყოფია — აბა, თავად ტრანსფერზე მომუშავე ხალხს თევზივით პირში წყალი ჩაუგუბებია.

აი, მაგალითად: ონილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ვერაფერს გეტყვით, „მაიამის" შეფ პატ რაილის ჯერ არ შევხვედრივარო. შაკის ეს თავის მოკატუნება „იესპიენმა" და ფლორიდულმა გაზეთმა „სან სენტინელმა" ამხილეს — ონილი შაბათს ფლორიდაში ვნახეთ და ის პატ რაილის 3 საათი ელაპარაკაო. ამ ცნობას დამაჯერებლობას ისიც მატებს, რომ „მაიამის" ხელმძღვანელობა, რომელსაც ფლორიდაში მიმდინარე საზაფხულო ლიგის ერთი მატჩიც არ გაუცდენია, შაბათს დარბაზში არ გამოჩენილა. აქეთ ონილის მენეჯერი აცხადებს, შაკი რომ მომავალ სეზონში „მაიამის" მაისურით არ ვნახო, გადავირეეიო.

ჰოდა, დაველოდოთ ოთხშაბათს, როცა ნბა-ს მიერ ტრანსფერებზე გამოცხადებული ორკვირიანი მორატორიუმის ვადა ამოიწურება.

**ირაკლი პერტაია**

# ფედერერმა ძალიან წაიგრძელა

**ALLIANZ SUISSE OPEN GSTAAD**
**გშტაადი. თიხნარი**
**საპრიზო 544 750 €**

### მეოთხედფინალი

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — **რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი) 6:1, 5:7, 6:4; **რაინერ შუტლერი** (3, გერმანია) — **ფელიქს მანტია** (ესპანეთი) 6:1, 4:6, 6:2; **პოტიტო სტარაჩი** (იტალია) — **ირჟი ნოვაკი** (4, ჩეხეთი) 6:4, 6:3; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — **რუბენ რამირეს იდალგო** (ესპანეთი) 6:3, 6:4

### ნახევარფინალი

**ფედერერი** — **სტარაჩი** 6:3, 3:6, 6:3; **ანდრეევი** — **შუტლერი** 6:2, 3:6, 7:6 (8:6)

საიმისოდ, რათა მშობლიური ტურნირის ფინალში ზედიზედ მეორედ გაედწია, ამქრის უსტაბაშ როჯერ ფედერერს იმ დღეს დაღლილობასთან, წვიმასა და გაჯიუტებულ მეტოქესთან ერთობლივად მოუხდა ჭიდილი. როგორც ანგარიშიდანვე დაატყობდით, მან პირველსაც სძლია, მეორესაც და მესამესაც და უკანასკნელ 25 შეხვედრაში უკვე 24-ე გამარჯვება მიითვალა. სულ კი ეს მისი 50-ე საამსეზონო მოგება გახლდათ (ოთხი მარცხის წილ) და ივან ლენდლის (ანუ 1989 წლის) შემდეგ ის გახდა ერთ სეზონში 50 მოგების უსწრაფესად მომხვეჭი მეჩოგნე.

მისებრ 22 წლის პოტიტო სტარაჩეს ფედერერი სამი საათისა და 32 წუთის განმავლობაში ეკეჭნაებოდა. იმას თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ყველაფერი ხდებოდა მის მიერ უიმბლდონობის ფინალში ენდი როდიკის ძლევიდან ხუთ დღეში, ალბათ ადვილი წარმოსადგენი უნდა იყოს, რა ამოუწყავი ილაჯი აქვს ამ ზეგარდმო შვეიცარიელს.

ისე შეგახსენებთ, რომ გშტაადურ ფინალს ფედერერმა შარშანდელ უიმბლდონობაზე მოგების მერეც უწია, მაგრამ ირჟი ნოვაკთან ხუთსეტიან ბუღრაობას ვეღარ გაუძლო და მშობლიური ტიტული ეგრეც მოურეწავი დარჩა.

რაც შეეხება იგორ ანდრეევს — ვინაც ამ ოთხშაბათს 21 წლისა გახდება — ეს მისი პირველი საკარიერო ფინალია. ჩვენი კლავიატურის არეში კი ის პირველად წლევანდელი როლანგაროსობისას მოექცა, რომლის მეორე წრეშიც თვით შარშანდელ ჩემპიონ ხუან კარლოს ფერეროს აჯობა.

### ფინალი

**ფედერერი** — **ანდრეევი** 6:2, 6:3, 5:7, 6:3

ნასტარაჩევს ფედერერი ამბობდა, ხვალ კიდევ ხუთ სეტს ნაღდად ვეღარ გავუძლებ, ისეთი დაღლილი ვარო. თუმცა იმავდროულად იმედოვნებდა, რომ დასვენებას მაინც მოასწრებდა. ჰოდა, მოასწრო კიდეც. ანდრეევი ისეთი ძალა ვერ არის, თუნდ არაქათგამოცლილ ფედერერს რომ აჯობოს.

იგორ ანდრეევი და როჯერ ფედერერი

მხიარულმა როჯერმა კი წლეულს უკვე მეშვიდე (!!) ტიტული იშოვა, საკარიერო ტიტულჩამონათვალი უკვე თვრამეტამდე წაიგრძელა და ზედ გამარჯვებულისთვის დათქმული 75 750 ევროც ჩაიჩხრიალა. რაც მთავარია, ეს მისი პირველი შვეიცარიული ტიტულია — შარშან იქაურსავე ფინალში წაგებამდე, 2000 და 2001 წლებში მას მშობლიურ ბაზელში, შვეიცარიის ჭერქვეშა ღია პირველობის ფინალშიც წაეგო.

**ბასტადი**

### მეოთხედფინალი

**გასტონ გაუდიო** (2, არგენტინა) — **რაფაელ ნადალი** (ესპანეთი) 6:2, 6:3; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — **ხუან იგნასიო ჩელა** (4, არგენტინა) 6:3, 6:7 (5:7), 6:2; **ფერნანდო გონსალესი** (6, ჩილე) — **ხუან მონაკო** (არგენტინა) 6:4, 6:4; **მარიანო საბალეტა** (8, არგენტინა) — **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) 6:1, 6:2

წლევანდელი როლანგაროსობის არგენტინელმა ჩემპიონმა გასტონ გაუდიომ პარიზული სეფეფინალის შემდეგ ერთი თვით ტრავმის მოშუშება და საბალახსაფრო მინისეზონის გამოტოვება არჩია. ნაამერთთვევს კი კორტს მოუბრუნდა და ახლა უკვე ბასტადური ტურნირის ფინალს უკაკუნებს.

იმ დღეს მან მეოთხედფინალში დამაჯერებლად სძლია ესპანელ ჯადობიჭუნა რაფაელ ნადალს, ვინაც აპრილში რომ კოჭი დაიმტვრია, იმის მერე პირველად გამოჩნდა. ტრავმის შემდეგ ნადალი საუკეთესო ფორმაში სულაც არ არის და ამიტომ იყო, თავის სათულფე არტილერია ჩვეულებისამებრ რომ ვერ ამუშავა.

საერთოდ კი, მეოთხედფინალში ოთხი არგენტინელი თამაშობდა და, მართალია, ისინი ერთმანეთს არ დაჯახებიან, მაგრამ ბოლო ოთხეულს გაუდიოს გარდა მხოლოდ შარშანდელმა ჩემპიონმა მარიანო საბალეტამ მიატანა.

**ლევან კელაურაძე**

ბრენდან ჰანსენი

ლეიზელ ჯონსი

REUTERS ლონგ ბიჩიდან

# რეკორდი ჰლაჟზე მიტანით

**ილბლიანი** აღმოჩნდა კალიფორნიაში, ლონგ ბიჩის ჰლაჟზე მოწყობილი გადასატანი საცურაო აუზი, სადაც გრძელდება ამერიკელ მოცურავეთა საათენო ოლიმპიური შესარჩევი შეჯიბრება.

პირველ დღეს მაიკლ ფელპსის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდის შემდეგ მეორე დღეც ასეთივე შედეგით აღინიშნა. ამჯერად 22 წლის ბრენდან ჰანსენმა 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში დაამყარა მსოფლიოს რეკორდი — 59,30.

მანამდე მსოფლიოს რეკორდი ეკუთვნოდა იაპონელ კოსუკე კიტაჯიმას (59,78), რომელმაც ამ წარმატებას შარშანდელი ბარსელონის მსოფლიოს ჩემპიონატზე მიაღწია.

საინტერესოა, რომ ბრენდან ჰანსენი სიდნეის ოლიმპიადამდელ შესარჩევ შეჯიბრებაში 100 მეტრზეც ცდილობდა მიზნის მიღწევას და 200 მეტრზეც, მაგრამ ორივეგან მესამე იყო.

„იმ მარცხს ყოველდღიურად ვიხსენებდი და მთელი ოთხი წელი ერთ მიზანზე — საათენო გუნდში მოხვედრაზე ვფიქრობდი“ — თქვა რეკორდსმენმა.

რა თქმა უნდა, ამერიკის ამ პირველობაზე საყოველთაო ყურადღება ისევ მაიკლ ფელპსისკენაა მიმართული. პირველი წარმატების მერე მან 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც გაიმარჯვა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დისციპლინაში ათენში შესაძლოა ფელპსისა და ავსტრალიელი იან ტორპის დუელი ვიხილოთ. თუმცა, ეგ კია, რომ გაცურვის მერე ფელპსმა თქვა, შესაძლოა ათენში ამ დისციპლინაზე უარი ვთქვა, თუ იგი სხვა სახეობებში წარმატების მისაღწევად ხელს შემიშლისო.

ირკვევა, რომ ფელპსი ათენში, სულ ცოტა, ხუთი ინდივიდუალური ოქროსა და სამი ესტაფეტის მოგებას აპირებს, რათა ერთი გამარჯვებით გაუმჯობესოს თანამემამულე მარკ სპიცის მუნხენური თამაშების რეკორდი.

ამასობაში მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ავსტრალიელმა ლეიზელ ჯონსმაც. მან ქალთა შორის 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში 2.22,99 აჩვენა, რაც ჩინელი ჰუოს 2001 წელს დამყარებულ რეკორდს 0,03 წამით სჯობს.

ჩინელის მიღწევა ერთი წლის მერე ამერიკელმა ამანდა ბირდმა გაიმეორა, ახლა კი ჯონსის დროც მოსულა.

მე შოკში ვარო, თქვა ფინალის შემდეგ 18 წლის ლეიზელმა.

**ავთანდილ ჭყვიშელი**



**მსოფლიოს ჩემპიონატი**

**ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი**

**ფინალი** *მესამე მატჩი*

**რუსტამ კასიმჯანოვი** (უზბეკეთი) — **მაიკლ ადამსი** (ინგლისი) 1:0
**საერთო ანგარიში 2,5:1,5**

# კუმ ცხენს გაუსწრო

მეოთხე მატჩში კასიმჯანოვმა ისევ თეთრი ფიგურებით იმარჯვა და საერთო ჩათვლაში კვლავ ქულით დაწინაურდა. წინა მატჩში კი ადამსმა იყოჩალა. მეტსახელად „კობრაჰ“ უზბეკის წინააღმდეგ რამდენიმე დამაბნეველი მანევრი განახორციელა და საბოლოოდ მეტოქე ქსელში გაამა. ამით ადამსმა ბუქმეიკერთა ნდობა დაიბრუნა და მათ ფავორიტად კვლავ ალბიონელი შერაცხეს, თუმც მომდევნო მატჩში ყველაფერი შეიცვალა.

მესამე შეხვედრის შემდეგ ორგანიზატორებს ერთი დღე უქმად ჰქონდათ გამოცხადებული და მეოთხე მატჩში მეტოქეები დასვენებული გონებით დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

კასიმჯანოვმა პარტია კლასიკური e4-ით დაიწყო და მეოთხე სვლაზე ინგლისელს კუ მხედარში გაუცვალა. საპასუხოდ ალბიონელმა ხელმწიფის ფლანგიდან წამოიწყო იერიში, მეტოქეს ლაზიერი გაუცვალა და თეთრ მეფეს პაიკთა კედელი გაურღვია. უზბეკმა ყურადღება ლაზიერის ფლანგისკენ გადაიტანა, ორივე ეტლი a და b ხაზების პირველ უჯრებზე განალაგა, დამხმარედ კი მხედარი მიუჩინა და პაიკებით დაიძრა. ამ იერიშით კასიმჯანოვმა თანდათან ჩაკეტა ინგლისელის ფიგურები და გზის გასახსნელად ალბიონელი იძულებული შეიქნა, ეტლი მხედარში გაეცვალა. მეტოქეებმა ფიგურების ხოცვა გაგრძელეს. 39-ე სვლაზე ადამსი ხელმწიფის და ხუთი პაიკის ამარა დარჩა, კასიმჯანოვს კი მეფე, სამი პაიკი და ოფიცერი ჰყავდა, თანაც ისეთი წყობით, რომ შავ მეფეს წინ მოძრაობა აღარ შეეძლო. ინგლისელსაც სხვა რაღა დარჩენოდა, მომდევნო სვლაზევე დანებდა მეტოქეს.

**ლუბა გეგეჭკორი**

## ფედერაციის თასი მეოთხედფინალი

### იტალია — საფრანგეთი 0:2

**სილვია ფარინა ელია** — **ამელი მორესმო** 2:6, 1:6; **ფრანჩესკა სკიავონე** — **მარი პირსი** 3:6, 4:6

ამელი მორესმოს საათზე ოდნავ მეტი დრო დასჭირდა შარშანდელი ჩემპიონების დასაწინაურებლად. ეს მისი ზედიზედ მეთერთმეტე საფედთასო გამარჯვებაა. სულ კი მას 5 მარცხის წილ უკვე 21 მოგება დაეკვეხნის. ასევე სეტისწაუგებლად იჩოგნავა მარი პირსმაც, რომელმაც სკიავონე საათსა და 18 წუთში მოდრიკა.

### ავსტრია — აშშ 1:1

**ბარბარა შვარცი** — **ჩანდა რუბინი** 1:6, 7:5, 4:6; **ბარბარა შეტი** — **ლიზა რეიმონდი** 6:2, 6:4

ჩანდა რუბინს ბოლო ოთხი თვე მუხლის ტრავმის გამო არ ეთამაშა, თუმცა შვარცთან 2 საათიანსა და 22-წუთიან განდაგანას მაინც გაუძლო და 1997 წლიდან მოკიდებული თავისი წაუგებელი საფედთასო სერია მორიგი გამარჯვებით გაიხანგრძლივა. სამაგიეროდ, სეტისმოუგებლად დამარცხდა ლიზა რეიმონდი — ბარბარა შეტი წინა წრეში სლოვაკთა წინააღმდეგაც ლამის მარტოჩოგნად გაირჯა და ეროვნული დროშა არც იმ დღეს დაუხრია.

### ესპანეთი — ბელგია 0:2

**ანაბელ მედინა გარიგესი** — **კირსტენ ფლიპკენსი** 6:7 (5:7), 6:1, 2:6; **ვირხინია რუანო პასკუალი** — **ელს კალენსი** 6:2, 4:6, 9:11

სრულიად მოულოდნელად უკიმკლაისტერსო და უჟუსტინენარდენო ბელგია მასპინძელ ესპანელებს პირველივე დღეს აღმა გაედავა. მსოფლიო რეიტინგსიის 315-ეადგილოსანმა, 18 წლის კირსტენ ფლიპკენსმა და ელს კალენსმა უდაბაულეს სამსეტიან შეხლებში სძლიეს მედინა გარიგესსა და რუანო პასკუალს. კალენსმა ორი მატჩბურთის მოგერიებაც კი მოახერხა.

### არგენტინა — რუსეთი 1:1

**ხისელა დულკო** — **სვეტლანა კუზნეცოვა** 6:4, 3:6, 6:4; **ნატალია გუსონი** — **ანასტასია მისკინა** 3:6, 0:6

არგენტინელებს რომ პაოლა სუარესიც მწყობრში ჰყოლოდათ, რუსულ მდედრიონს პირველ დღეს უსათუოდ მიანაბზდოროვებდნენ, მაგრამ სუარესის შემცვლელმა გუსონიმ წლევანდელი როლანგაროსობის მომგებ ანასტასია მისკინასთან ვერაფერი გააწყო. არადა, პირველ მატჩში ხისელა დულკომ სენსაციურად ააყუდა მსოფლიო რეიტინგსიის მეცხრეადგილოსანი სვეტლანა კუზნეცოვა. სხვათა შორის, წლეულს ეს უკვე მეორედ მოხდა, რომ დულკომ ფედთასზე ზეათეულელი მეჩოგნე გააგორა — პირველ წრეში ამ 19 წლის ნიჭიეროსანმა იაპონელ აი სუგიამასაც აჯობა.

# ძველი ყოჩი ყოჩებთან

## რაგბით მოწამლული დიდებულიძე საქართველოში იმკურნალებს

ბურაბ დოლიძეაშვილის ფოტო

**ბორჯღალოსანთა ძველი გვარდიის ახალგაზრდებით შეცვლაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. შარშანდელი მსოფლიოს თასის დასრულების შემდეგ დაიწყო. თაობა, რომელმაც საქართველოს რაგბი შეაყვარა, ნელ-ნელა ნაკრებს მართლაც ემშვიდობება, თუმც რიხიანი სიტყვის თქმა რომ ჯვლავც ძალუძს, ამ გაზაფხულზე რუსების ძლევითაც დაამტკიცა. მეორეხაზელი ვიქტორ დიდებულიძე იმ მატჩის ერთ-ერთი გმირი იყო, შემდეგ ჯი ისევ საფრანგეთში გაუჩინარდა და ბევრმა ის მატჩი მისი სანაკრებო კარიერის დასასრულად მიიჩნია. თბილისში შვებულებით ჩამოსული დიდებულიძე ეროვნული გუნდიდან წასვლაზე ხმებს უარყოფს. გუშინ ჯი ჭაბუკობაც გაიხსენა და ვარკეთილის ხრიოკზე საქართველოს თასისთვის იბრძოლა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრიელ კეთილაძის ფოტო

— თბილისში სამხრეთაფრიკელებთან ჩვენი ნაკრების თამაშამდე ორი დღით ადრე ჩამოვედი. თითქმის ერთთვიანი დასვენება მოვიწყვე. ერთი კვირაც დამრჩა და საფრანგეთში დავბრუნდები.

**— და ახალ კლუბს შეუერთდები?**

— ნასიონალ I-ის პარიზულ კლუბ „მასისთან" ორწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ჩასვლისთანავე ვარჯიშს შევუდგები.

**— ნასიონალ 1 ქართველთა სიმცირეს არ უნდა უჩიოდეს...**

— ყველაზე სასიამოვნო სწორედ ეგაა. ამ ლიგაში თამაშობენ პალიკო ჯიმშელაძე, ზურაბ მჭედლიშვილი, გაგა ჯორჯაძე, დავით კაჭარავა, ავთო კოპალიანი, ირაკლი გიორგაძე და ბესიკ უდესიანი. ალბათ მალე ილო ზედგინიძეც შემოგვიერთდება და მცირე ქართულ ლიგას შევქმნით.

**— ილო რომელ გუნდში გადადის?**

— რამდენიმე ვარიანტი აქვს. ალბათ პარიზის უნივერსიტეტის კლუბს აირჩევს.

**— თქვი, „ბულზთან" თამაშამდე ჩამოვედიო. ნაკრების ფორმა რატომ არ მოირგე, სანაკრებო კარიერა ხომ არ დაასრულე?**

— არა, ნაკრებზე უარი არ მითქვამს. უბრალოდ, ზედ თამაშის წინ ჩამოვედი, მანამდე საკლუბო პრობლემების მოგვარება ვერ მოვასწარი და უკვე სამზადისგავლილ გუნდთან შეერთება თავად აღარ ჩავთვალე საჭიროდ.

**— ესე იგი, რუსეთთან გაზაფხულზე ნათამაშები მატჩი შენს სანაკრებო კარიერაში ბოლო სულაც არ ყოფილა...**

— თუ საჭირო ვიქნები და შემეხმიანებიან, აუცილებლად ჩამოვალ, თუნდაც ნოემბერში, იმავე რუსეთთან სათამაშოდ. ასეთ პატივზე უარს როგორ ვიტყვი.

**— რუსეთთან შენს წლევანდელ თამაშს სპეციალისტები კარიერაში ერთ-ერთ საუკეთესოდ გითვლიან. განსაკუთრებით მოინდომე?**

— ის თამაში რომ არ მოგვეგო, არაფრით არ შეიძლებოდა. პორტუგალიასთან თბილისში წაგებით და ესპანური ფრით, გულშემატკივარს უიმედობის გრძნობა გასჩენოდა და ბევრს რუსეთთან წარმატებისაც აღარ სჯეროდა. მართლაც განსაკუთრებულად მოვინდომე. მეც და მთელმა ძველმა გვარდიამაც, რომლებიც ახალგაზრდებს შევუერთდით, მიზანსაც მივაღწიეთ და მატჩამდე ტრადიციულად მობაქიბუქე რუსებს მინდორზე ტრადიციულადვე გავუსწორდით.

**— ერთა თასის მატჩების უმეტესობა ახალგაზრდებმა ჩაატარეს. მათ თამაშს როგორ შეაფასებ?**

— საკმაოდ კარგი ბიჭები მოდიან და ღირსეული გუნდის გაკეთებაც შეიძლება. მეორეხაზელი ვარ და ამ პოზიციაზე მოთამაშეებს გამოვარჩევ. მოსაწონად თამაშობენ ლოკომოტიველი დათუნაშვილი და ჟღენტი. მშვენიერი მონაცემები აქვთ და ერთადერთი, რაც აკლიათ, გამოწრთობაა. მამუკა გორგოძის ძალაზე კი აღარაფერს ვიტყვი, ისედაც ყველამ იცის.

**— დასასვენებლად კი ჩამოხვედი, მაგრამ უბურთოდ ვერ გაძლებდი. რომელიმე გუნდთან ხომ არ გივარჯიშია?**

— ვაკის პარში ხშირად დავრბივარ. ბურთით სავარჯიშოდ კი ჩემს ძველ კლუბ „ყოჩებს" მივაკითხე, მასთან ერთად რამდენჯერმე ვივარჯიშე.

**— „ყოჩებს" თასის ნახევარფინალშიც ხომ არ დაეხმარები?**

— დახმარება ცუდი სიტყვაა. „ყოჩებს" ჩემი დახმარება არ სჭირდება. ისედაც კარგად ართმევენ ბიჭები თავს. უბრალოდ, ვითამაშებ. ეგ არის და ეგ.

**— კარიერის დასრულებაზე თუ დაფიქრებულხარ?**

— რაგბით ისე ვარ მოწამლული, ხშირად ვამბობ, სანამ ჯანმრთელობა დამაცლის, არსად წასვლას არ ვაპირებ-მეთქი. რეალურად კი, ალბათ, ამ ორწლიანი კონტრაქტის დასრულების შემდეგ ერთ კონტრაქტსაც ჩავამთავრებ.

**— მერე კი საფრანგეთში დარჩები და არასპორტულ ცხოვრებას დაიწყებ?**

— გამორიცხლია. მეუღლე კი მყავს ფრანგი, მაგრამ მის სამშობლოში საცხოვრებლად დარჩენას არ ვაპირებ, არც რაგბის მიტოვებას. საქართველოში ჩამოვალ და ჩემს ცოდნას ქართულ რაგბის მოვახმარ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

---

### საქართველოს თასი. ნახევარფინალი

„ლოკომოტივი". 11 ივლისი

**ლოკომოტივი 12:11 ლელო**

**ლოკომოტივი:** ასათიანი, ანდღულაძე (გუგავა), ალანია, ხაჩირაშვილი, კობერიძე, აბაშიძე, სამხარაძე, მაისურაძე, ტრაპაიძე, კახიანი, დ. ჟღენტი (მოგელაძე), ბერძენიშვილი, გ. ჟღენტი, ჯოხია, გასვიანი (სპანდერაშვილი)

**ლ:** გ. ჟღენტი, ასათიანი; გ: აბაშიძე

**ლელო:** ზაალიშვილი, მებულიშვილი, გ. მჭედლიშვილი, ფირფილაშვილი, ჯამბულიძე, ბარკალაია, კვირიკაშვილი, დვალიშვილი, სარდანაშვილი, პავლოვი, ხაბეიშვილი, მჭედლიშვილი, ღვაბერიძე, კობეშავიძე, სანიკიძე (ჯახოიძე)

**ლ:** სარდანაშვილი; 2ს: კვირიკაშვილი

**მსაჯი:** გ. ჯავახიშვილი

# ჯავახიშვილის უახლესი ისტორია

## ლელოს ერთი ლელო არ ეყო

საქართველოს თასის დასრულებამდე ფინალიღა რჩება. ბოლო ჯგუფური ეტაპიდან გასული ოთხი გუნდიდან გუშინ ორი საუკეთესო გამოვლინდა. ნახევარფინალები „ლოკომოტივის" სათადარიგო და ვარკეთილის მეურნეობის სტადიონებზე ერთსა და იგივე დროს დაიწყო.

რაგბის მოყვარულთა ვარაუდით, უფრო თანაბარი და დაძაბული ბრძოლა ვაკეში იყო მოსალოდნელი. იქ თასის მფლობელი „ლოკომოტივი" ჯგუფიდან პირველი ადგილით გასულ „ლელოს" დაუპირისპირდა.

თამაშმა მოლოდინი რომ გაამართლა, ანგარიშითაც მიხვდებით. საინტერესო კი ისაა, რომ მთელი მეორე ტაიმი არც ერთ გუნდს ქულა არ გაუკეთებია. ვასილ აბაშიძის ზუსტი გარდასახვით პირველი ნახევრის მიწურულს „ლოკომოტივი" 12:11 დაწინაურდა და ეს უპირატესობა საბოლოოდ ფინალში გასასვლელად ეყო.

პირველი ტაიმი ერთი კურიოზული ეპიზოდითაც გამოირჩა. მატჩის დაწყებიდან თხუთმეტ წუთში არბიტრ გია ჯავახიშვილს ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი და შეცვლა ითხოვა. მისდა სამწუხაროდ, ვაკის მიდაომებში ამ თამაშის მსაჯობის მსურველი არავინ მოიძებნა და დაახლოებით ნახევარსაათიანი გაურკვევლობის შემდეგ მინდორზე დაბრუნება თავადვე მოუწია.

გაუთვალისწინებელმა პაუზამ შეხვედრის მიწურულსაც დაატყო ხელი. თამაში ათიოდ წუთით გვიან რომ დასრულებულიყო, შეიძლება მორაგბეებს ერთმანეთიც ვეღარ ეცნოთ. სახლიდან მზის ჩასვლამდე გამოშვებულთ კი აშკარად არ გაუმართლათ.

მოკლედ, ნახევარფინალის მცოცავ ანგარიშზეც გეტყვით. პირველი შეტევა „ლელოსი" იყო. მისმა გამთამაშებელმა მერაბ კვირიკაშვილმა საჯარიმოდან სცადა ანგარიშის გახსნა, მაგრამ არ გამოუვიდა. დაახლოებით მეშვიდე წუთი იქნებოდა, შეცდომის გარდასახვით გამოსწორების შანსი რომ მიეცა, მაგრამ კვლავ ამაოდ. ლელო კი ბექა სარდანაშვილმა მიითვალა.

„ლოკომოტივმა" ხუთიოდ წუთში გაათანაბრა პირველხაზელთა ყოჩაღობის წყალობით. „ლელოს" სალელოვესთან დანიშნული ჯარიმიდან გათამაშებული ბურთი დავით გასვიანმა და გიორგი ჟღენტმა იგდეს ხელთ და მათი შეჩერება შეუძლებელი გახდა. ზუსტი გარდასახვა ვერც ამჯერად ვიხილეთ. აბაშიძეს მის გარდა ცოტა ხანში საკმაოდ კარგი საჯარიმოც აუცდა. სამაგიეროდ, მიზანი გაისწორა კვირიკაშვილმა და ორჯერ რთული ჯარიმით ახეირა „ლელო". ტაიმის ბოლოს აბაშიძის გარდასახვაზე უკვე გითხარით, ხოლო ლელო გიორგი ასათიანმა გაიტანა.

„ლელოს" ანგარიშის სათავისოდ შეტრიალების შანსი რამდენჯერმე მიეცა, ისევე როგორც „ლოკომოტივს" გაზრდის, თუმც ვერც აბაშიძემ და ვერც კვირიკაშვილმა საჯარიმოები ვერ გაიტანეს.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა ვარკეთილური ნახევარფინალიც. ვიქტორ დიდებულიძით გაძლიერებულმა „ყოჩებმა" „იმედი L აკადემიას" 26:21 სძლიეს.

ფინალი „ლოკომოტივის" სათადარიგოზე 22 ივლისს გაიმართება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საექიმო მსაჯიც გახდა

ფორმულა 1. 55-ე მსოფლიოს ჩემპიონატი მეთერთმეტე ეტაპი

# გაუმდიოთ!

## ტრულის ბედმა დღეობაზე სიცოცხლე აჩუქა

მიხაელ შუმახერი წლეულსაც რომ მოიპოვებს ჩემპიონობას, ყველასთვის კარგა ხანია გადაწყვეტილი ამბავია. საკითხავი ისღაა, სეზონის ფინიშამდე რამდენი ეტაპით ადრე გაინაღდებს მეშვიდე ტიტულს. ხოლო უფრო საინტერესოა, შეწყდება თუ არა „წითელი ბარონის" მოგებათა უნიკალური სერია, ანუ, ბოლოს და ბოლოს, დამარცხდება თუ არა, რადგან წლევანდელი ჩემპიონატის თერთმეტი რბოლიდან ათში პირველობა არავის დაუთმო (ერთხელ ავარიის გამო გამოეთიშა ბრძოლას) და პოდიუმის მეორე საფეხურიც კი მისთვის წაგებას ნიშნავს.

ჯერჯერობით საქმეს საამისო პირი არ უჩანს. გუშინ „სილვერსტოუნზე" დიადმა გერმანელმა მორიგი დიდი პრიზი ჩაიბარა, ამჯერადაც უზუსტესად გათვლილი ტაქტიკისა და უზადო ოსტატობის ხარჯზე აჯობა მეტოქეებს, პირველ რიგში კი ახალ „მაკლარენზე" ამხედრებულ კიმი რაიკონენს, რომლისთვისაც წლეულს ეს საუკეთესო ეტაპია.

24 წლის ფინელი ყველაზე სწრაფი იყო ჰარისკევის თავისუფალ ვარჯიშში, შაბათს კვალიფიკაციაც მოიგო, რბოლაში კი მიხაელს ბოლომდე მედგრად გაუძალიანდა და მიმდინარე ჩემპიონატში პირველად მეორე ადგილით ძალიანაც კმაყოფილი დარჩა.

საპოლე ბრძოლაზე კიდევ იმას ვიტყვით, რომ მეორე შედეგი ჰქონდა ფერარელ რუბენს ბარიკელოს, მესამე — ბარელ ჯენსონ ბატონს. მიხაელი „ყინულის კაც" კიმის მართალია, ნახევარი წამით ჩამორჩა, მაგრამ ჩემპიონის ნელი წრე მეტოქეებისგან განსხვავებული საბენზინე ტაქტიკის მანიშნებელი ჩანდა — ბევრი საწვავით აპირებდა რბოლის დაწყებას და ნაკლები პიტსტოპის ხარჯზე წარმატების მიღწევას.

გეხსომებათ, ერთი კვირის წინ საფრანგეთის დიდი პრიზის გათამაშებისას შუმი პირიქით მოიქცა, სხვებზე ერთით მეტჯერ ჩაისხა და მაშინაც დიდრსტატური გამარჯვება მოიპოვა. ერთი სიტყვით, შუმახერი მთელ ქარავანს კატა-თაგვობანას ეთამაშება და სადაც უნდა და როგორც უნდა, ნოკაუტით უგებს.

გუშინ სასტარტო შუქნიშნის ჩაქრობისთანავე ყველანი მკვირცხლად დაიძრნენ, უფრო — მიხაელი და იარნო ტრული. ჩემპიონმა ბატონის გვერდის ავლა სცადა, მაგრამ ბრიტანელმა თავისი პოზიცია დაიცვა. თავად შუმის ტრულიმ შეუტია მარცხნიდან გასასწრებად, თუმც ასევე უშედეგოდ.

ბოქსებს პირველმა მიკითხა ფერნანდო ალონსომ, რომელმაც კვალიფიკაციაში მეექვსე შედეგი აჩვენა, მაგრამ რადგან ძრავის შეცვლა მოუხდა, ათი სასტარტო პოზიციით უკან დასწიეს. ლიდერმა კიმიმ საწვავი მე-12 წრეზე ჩაიმატა, მიხაელმა ოთხი წრე იცადა, ოთხივე სარეკორდო სიჩქარით გაიქროლა (საუკეთესო 3,5 წამით უკეთესია ბარიკელოს შარშანდელ მიღწევაზე), 23-წამიანი მარაგი დააგროვა და მაშინღა ესტუმრა ბოქსებს. იქ 9,3-წამიანი შეყოვნების შემდეგ, რაც 100 ლიტრი ბენზინის ჩასხმას და ამდენად, ორპიტსტოპიან სტრატეგიას ნიშნავდა, რაიკონენის ცხვირწინ დაბრუნდა ტრასაზე და გამარჯვებულიც მაშინ გაირკვა. ვიცე-ჩემპიონს ცდა არ დაუკლია, მაგრამ შუმის გასწრება ვერაფრით მოახერხა.

ფინიშამდე ოცი წრე რჩებოდა, ტრულის საშინელი ავარია რომ შეემთხვა. იტალიელის მართვადაკარგული „რენო" ბეტონის ბარიერს მიეხეთქა და უკან გამოტყორცნილი, ორჯერ ამოყირავდა. საბედნიეროდ, პილოტი, რომელიც ხვალ 30 წლის ხდება, მძიმედ არ დაშავებულა და დალეწილი ბოლიდიდან დაუხმარებლად ამოვიდა.

მიხაელ შუმახერის გუშინდელი გამარჯვება მე-80 გახდა მის 13-წლიან ზღაპრულ კარიერაში. შუმის თანაფერარელმა ბარიკელომ კი ზედიზედ ქულებიანი მე-12 რბოლა მიითვალა, რაც მეექვსე მაჩვენებელია „სამეფო რბოლების" 55-წლიან ისტორიაში.

**გია ახალაძე**




იარნო ტრული ამ ჯართიდან ცოცხალი ამოვიდა

### რბოლის შედეგები

**დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი**
**11 ივლისი. სილვერსტოუნი**
დისტანცია 60 წრე — 308,355 კმ

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. | (4) | მ.შუმახერი (ფერარი) | 1:24.42,700 (218,4 კმ/სთ) |
| 2. | (1) | რაიკონენი (მაკლარენი) | ჩამორჩა 02,130 |
| 3. | (2) | ბარიკელო (ფერარი) | 03,114 |
| 4. | (3) | ბატონი (B.A.R) | 10,683 |
| 5. | (7) | მონტოია (უილიამსი) | 12,173 |
| 6. | (20) | ფიზიკელა (ზაუბერი) | 12,883 |
| 7. | (6) | კულჰარდი (მაკლარენი) | 19,668 |
| 8. | (9) | ვეტერი (იაგუარი) | 23,701 |
| 9. | (10) | მასა (ზაუბერი) | 24,023 |
| 10. | (16) | ალონსო (რენო) | 24,835 |
| 11. | (8) | სატო (B.A.R) | 33,736 |
| 12. | (11) | ჟენე (უილიამსი) | 34,303 |
| 13. | (12) | და მატა (ტოიოტა) | 1 წრით |
| 14. | (13) | კლიენი (იაგუარი) | 1 წრით |
| 15. | (15) | ჰიდფელდი (ჯორდანი) | 1 წრით |
| 16. | (18) | ბრუნი (მინარდი) | 4 წრით |

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | | |
|---|---|---|
| (14) | პანტანო (ჯორდანი) | გაიარა 47 წრე |
| (5) | ტრული (რენო) | 39 |
| (10) | ბაუმგარტნერი (მინარდი) | 29 |
| (17) | პანი (ტოიოტა) | 16 |

ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი

**პოული**
რაიკონენი — 1.18,233 (236,6 კმ/სთ)

**საუკეთესო წრე**
მ. შუმახერი — 1.18,739 (235,1 კმ/სთ)

| | | ბრიტანეთი 7 მარტი | მალაიზია 21 მარტი | ბაჰრეინი 4 აპრილი | სან მარინო 25 აპრილი | მონაკო 9 მაისი | ესპანეთი 23 მაისი | კანადა 30 მაისი | ევროპა 13 ივნისი | საფრანგეთი 20 ივნისი | ავსტრია 4 ივლისი | დ.ბრიტანეთი 11 ივლისი | მაგიარეთი 25 ივლისი | შვეიცარია 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ჩინეთი 26 სექტემბერი | იაპონია 10 ოქტომბერი | ბრაზილია 24 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | – | 10 | 10 | 10 | 10 | 10 | | | | | | | | 100 |
| 2 | ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 8 | 5 | 8 | 3 | 8 | 6 | 8 | 8 | 8 | 6 | 6 | | | | | | | | 74 |
| 3 | ბატონი B.A.R., დ. ბრიტანეთი | 3 | 6 | 6 | 8 | 1 | 8 | 6 | 6 | – | 4 | 5 | | | | | | | | 53 |
| 4 | ტრული რენო, იტალია | 2 | 4 | 5 | 4 | 6 | 10 | 5 | – | 5 | 5 | – | | | | | | | | 46 |
| 5 | ალონსო რენო, ესპანეთი | 6 | 2 | 3 | 5 | 5 | – | 4 | – | – | 8 | – | | | | | | | | 33 |
| 6 | მონტოია უილიამსი, კოლუმბია | 4 | 8 | – | 6 | – | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | | | | | | | | 29 |
| 7 | რაიკონენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | – | 1 | – | – | – | 4 | 3 | 2 | 8 | | | | | | | | 18 |
| 8 | სატო B.A.R., იაპონია | – | – | 4 | – | 4 | – | – | – | 6 | – | – | | | | | | | | 14 |
| 9 | კულჰარდი მაკლარენი, დ. ბრიტანეთი | 1 | 3 | – | – | – | – | – | 3 | 2 | 3 | 2 | | | | | | | | 14 |
| 10 | ფიზიკელა ზაუბერი, იტალია | – | – | – | – | 2 | – | 3 | 5 | – | – | 3 | | | | | | | | 13 |

რ.შუმახერი — 12 ქულა, მასა, პანი — 5, ვეტერი — 4, და მატა, ჰიდფელდი — 3, გლოკი (ჯორდანი) — 2, ბაუმგარტნერი — 1

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფერარი | 18 | 15 | 18 | 13 | 18 | 6 | 18 | 18 | 18 | 16 | 16 | | | | | | | | 174 |
| 2 | რენო | 8 | 6 | 8 | 9 | 11 | 10 | 9 | – | 5 | 13 | – | | | | | | | | 79 |
| 3 | B.A.R. | 3 | 6 | 10 | 8 | 5 | 8 | 6 | 6 | 6 | 4 | 5 | | | | | | | | 67 |
| 4 | უილიამსი | 9 | 8 | 2 | 8 | 3 | 5 | 1 | – | – | 1 | 4 | | | | | | | | 41 |
| 5 | მაკლარენი | 1 | 3 | – | 1 | – | – | – | 7 | 5 | 5 | 10 | | | | | | | | 32 |

ზაუბერი — 18 ქულა, ტოიოტა — 8, ჯორდანი — 5, იაგუარი — 4, მინარდი — 1



ტურ დე ფრანსი 2004

# ქალაქი ... საჩემპიონო

## მე-6 ადგილი

### არმსტრონგი უკანაა, მაგრამ წინაა

დამთავრდა ტურდეფრანსული მარათონის პირველი კვირა და მეექვსე სარეკორდო ტიტულის მაძიებელი ლენს არმსტრონგი საერთო ჩათვლაში მეექვსეა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკელ ველომრბოლს ჩემპიონობის კარგი შანსი აქვს.

მაშ, პირველადგილოსანმა რა უნდა თქვას, თუ მეექვსეზე მყოფ არმსტრონგს ჩემპიონობის კარგი შანსი აქვსო, იკითხავს საქმის არმცოდნე. საქმე ისაა, რომ ტურ დე ფრანსი მრავალდღიანი რბოლაა, სადაც სპორტსმენებს როგორც ვაკეზე, ასევე მთებსა და ნაირგვარი დახრილობის ფერდობებზე უწევთ რბოლა. ანუ, სანამ პელოტონი ფინიშს მიაღწევს, ასე ვთქვათ, ცხრა მთა უნდა გადაიაროს. ჰოდა, მაგარი ის კი არაა, ვინც პირველი კვირის შემდეგ დაწინაურდა, არამედ ის, ვინც მრავალ აღმართსა თუ ქარბუქში გამოიცდება და პირველობას შეინარჩუნებს.

ამიტომაც ამტკიცებენ ტურ დე ფრანსის მცოდნენი, არმსტრონგი მომგებიან სიტუაციაშიაო. პირველ კვირას პელოტონი ვაკეზე მიიზლაზნება და ამ მონაკვეთს, რაც დაახლოებით 8 ეტაპს მოითვლის, სპრინტერთა რბოლა ეწოდება. არმსტრონგი კი არამც და არამც არ გახლავთ სპრინტერი, ამ საქმის ოსტატები ტურზე მრავლად არიან, ხოლო ლენსის კოზირი სწორედ მთები და ტაქტიკური წინდახედულობით გასარბოლი ეტაპებია. იქ, ზღვის დონიდან ათას მერამდენიღაც მეტრზე მავანი სპრინტერი მუხლებს რომ გამალებით აამუშავებს და წინ გაიჭრება, არმსტრონგი გონებას აამუშავებს და წამების სიზუსტით საზღვრავს, როდის დაიწყოს შეტევა და როდის აუჩქარებლად ირბოლოს.

მოკლედ, გუშინ სპრინტერთა ბოლო განავარდება იყო და ეტაპი, რა თქმა უნდა, არმსტრონგს არ მოუგია. ის მოიგო ნორვეგიელმა ტორ ჰუსვოდმა, რომელმაც ეს ერთხელ უკვე მოახერხა ტურის დასაწყისში და რომელსაც ერთი დღით, მაგრამ მაინც ეცვა ყვითელი მაისურა.

გუშინდელი მე-8 ეტაპის საინტერესო შტრიხი იყო ძაღლი, რომელმაც მოზრდილ პელოტონს გადაურბინა და ქარავანს აურია. თუმც გუშინ სერიოზული შეტაკებაც მოხდა და როგორც ყოველთვის, კვლავ იოლად გადარჩა ხუთგზის ჩემპიონი არმსტრონგი, რომელმაც მყის მოძებნა გამოსავალი თითქოსდა გამოუვალი სიტუაციიდან.

**ირაკლი პერტაია**

**მე-7 ეტაპი. 10 ივლისი**
**შატობრიანი — სენტ ბრიუ**

1. ფილიპო პოცატო (იტალია, ფასა ბორტოლო) 4სთ 31წთ 34წმ
2. იკერ ფლორესი (ესპანეთი, ეუსკატელი) იგივე დრო
3. ფრანსისკო მანსებო (ესპანეთი, ბალეარი) იგივე დრო

**მე-8 ეტაპი. 11 ივლისი**
**ლამბალე — კუმეპე**

1. ტორ ჰუსვოდი (ნორვეგია, აგრიკოლა) 3სთ 54წთ 22წმ
2. კიმ კირხენი (ლუქსემბურგი, ფასა ბორტოლო) იგივე დრო
3. ერიკ ზაბელი (გერმანია, თი-მბაილი) იგივე დრო

**საერთო ჩათვლა**

1. ტომას ვეკლერი (საფრანგეთი, ბულანი) 33სთ 36წთ 36წმ
2. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი) +3წთ 1წმ
3. სანდი სესარი (საფრანგეთი, ა3მ) +4წთ 6წმ

REUTERS ვიტორიიდან

# დანა შორს წავა

ბრიტანეთის კოლუმბიაში იმართება კანადელ მძლეოსანთა შეჯიბრი, რომლის გამარჯვებულებიც მომავალ თვეში ოლიმპიადაზე გაემგზავრებიან. წამსვლელთა შორის არის დანა ელისი, ვინაც იოლად გადაეკვლო თამასას და ჩემპიონობა მოიპოვა.

REUTERS ბუენოს აირესიდან

# მარიანელამ ქმარი იშოვა

არგენტინელმა კალათბურთელმა ემანუელ ჯინობილიმ ცოლად ითხოვა მარიანელა ორონთ და სათუთად მიუდია ლოყა მეუღლის შუბლზე. მარიანელას უზრუნველი ცხოვრება ელის, რაკი ემანუელს ნბა-ს ჩემპიონი „სან ანტონიო“ მომდევნო ექვს სეზონში 54 მილიონ დოლარს გადაუხდის.

# აი, მოდელი

„სილვერსტოუნზე“ გასამართი ბრიტანეთის „გრან პრის“ დაწყებამდე იაგუარის გარაჟში ჩამოსკუპებულა მოდელი ემა B. ფოტოზე ბოლიდის ავკარგიანობა ძნელი გასარჩევია, მაგრამ რისი გარჩევაც შეიძლება, ის მართლა კარგია.

REUTERS ნორთჰემპტონიდან



REUTERS ათენიდან

# ხარი არ გაგვაცნეს

კალგარიში ათ დღეს გაგრძელდება მამაცი მხედნების ჯირითი უკარება ხარებზე. ეს მოჯირითე იან მაკო გახლავთ, ხარის სახელს კი საგენტოები არ იუწყებიან.



REUTERS კალგარიდან

# იანას ხელით

ოლიმპიურმა ჩირაღდანმა 5 კონტინენტი, 26 ქვეყანა და 34 ქალაქი მოიარა და საბერძნეთში დაბრუნდა, ახლა იქაურ ქალაქებში განაგრძობს სვლას, სანამ 13 აგვისტოს ათენში დაიდებს ბინას. საბერძნეთში დაბრუნებული კი პირველად კუნძულ კრეტაზე აგიზგიზდა თვით ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის იანა ანგელოპულოსის ნატიფი ხელით.


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი ზოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge